ეროვნული ბიბლიოთეკა




პლაკატი ზ. მაისურაძისა.

# მრავალ ახალ წელს, მეგობრებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1 იანვარი ხუთშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გამოცემის ნი-ე წელი • № 1 (14605)

# საახალწლო მილოცვა საბჭოთა ხალხს

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

მთავრდება 1969 წელი. კარგი, კეთილი გრძნობით აცილებს მას საბჭოთა ხალხი. ეს იყო შთაგონებული შრომისა და შემოქმედებითი გამარჯვებების წელი.

ჩვენი სამშობლო გულდაჯერებით მიდის წინ კომუნიზმის მშენებლობის გზით, რომელიც გაცისკროვნებულია დიდი ლენინის იდეებით. საბჭოთა ხალხმა წარმატებით შეასრულა ხუთწლედის მეოთხე წლის ძირითადი დავალებანი. მწყობრში ჩადგა ასობით ახალი საწარმო. ფართო მასშტაბებით ხორციელდება ბინების კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მშენებლობა. ახალი მნიშვნელოვანი წარმატებანია მოპოვებული მეცნიერებისა და ტექნიკის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში.

განუხრელად უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა.

საბჭოთა ხალხის წარმატებებში შეერთდა, როგორც შესანიშნავ ნადნობში, მუშისა და გლეხის თავდადება და ნიჭი, მეცნიერისა და ინჟინრის შემართება და გაბედული აზრი, ხელოვნის შემოქმედებითი ძიება.

გასული წელი აღინიშნა საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებით, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებით. კიდევ უფრო მტკიცდება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი — საბჭოთა საზოგადოების ურყევი საფუძველი. ამას წინათ გამართულმა კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობამ კიდევ ერთხელ ცხადყო ამ კავშირის ძალა და ურღვევობა, დასახა ახალი ეტაპი საკოლმეურნეო წყობილების განვითარებაში.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ძმური ერთიანობით ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის მშრომელები თანმიმდევრულად ახორციელებენ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს. ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო ახალ საფეხურზე ავიდა, კიდევ უფრო მძლავრი გახდა.

ამ საზეიმო წუთებში დიდ მადლობას ვუძღვნით გმირ მუშათა კლასს, სახელოვან კოლმეურნე გლეხობას და ჩვენს სახალხო ინტელიგენციას შთაგონებული შრომისათვის, კომუნიზმის საქმისადმი დიდი ერთგულებისათვის. დიდი მადლობისა და სიყვარულის გრძნობით მივმართავთ საბჭოთა ქალებს, დაუცხრომელ მშრომელებს, ბავშვების უნარიან და მზრუნველ აღმზრდელებს.

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ შესანიშნავი საბჭოთა ახალგაზრდობით, რომელიც პარტიის მოწოდებით ყველაზე ძნელ უბნებზე მიდის. იგი ბეჯითად სწავლობს, კარგად შრომობს, თავისი საქმეებით ამრავლებს უფროს თაობათა სახელოვან რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს.

ჩვენი ხალხი გულითადად და გულთბილად ეკიდება შეიარაღებული ძალების მეომრებს, რომლებიც ფხიზლად იცავენ ჩვენს საზღვრებს, დგანან დიდი ოქტომბრის მონაპოვართა, სოციალიზმის მონაპოვართა სადარაჯოზე.

განვლილი წელი იყო საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების პოზიციათა შემდგომი განმტკიცების წელი, მარქსიზმ-ლენინიზმის ახალი გამარჯვებების, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის მზარდი შეკავშირების წელი.

მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირი. თათბირზე მიღებულმა დოკუმენტებმა შეაიარაღეს კომუნისტები, ყველა რევოლუციონერი მოქმედების მკაფიო, გაშლილი პროგრამით. თათბირმა კვლავ დაადასტურა, რომ კომუნისტური მოძრაობის ძალაა ერთგულება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი, მარქს-ენგელს-ლენინის დიადი მოძღვრებისადმი.

მიღწეულისათვის სიამაყის გრძნობით, მომავლის ნათელი პერსპექტივებით ვეგებებით ახალ წელს. 1970 წელი ლენინის დიადი იუბილეს წელია. ეს არის დიდ სამამულო ომში ფაშიზმის განადგურების 25 წლისთავის წელი. ეს არის ხუთწლედის დამთავრების წელი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მტკიცედ სწამთ, რომ საბჭოთა ადამიანები აღსავსენი არიან მისწრაფებით კიდევ უფრო გაზარდონ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშირონ თავიანთი რიგები. ჩვენს სახელმწიფოს აქვს ყოველივე, რაც საჭიროა საბჭოთა ხალხის მშვიდი და გულდაჯერებული შრომის უზრუნველსაყოფად. იგი თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, საკადრის პასუხს აძლევს იმპერიალისტურ ხრიკებს, ყოველი ღონისძიებით უჭერს მხარს ხალხთა ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო! მეგობრებო! ახლა კრემლის კურანტები გვაუწყებენ, რომ დადგა ახალი წელი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად გილოცავენ ახალ წელს და გისურვებენ თქვენი სურვილების, გეგმების შესრულებას და ჯანმრთელობას. დაე ახალმა წელმა თვითეულ საბჭოთა ოჯახს მოუტანოს ახალი წარმატებანი და სიხარული ცხოვრებაში, შრომასა და სწავლაში!

მეგობრულად ვულოცავთ ახალ წელს და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ სოციალიზმის ქვეყნების ხალხებს, კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, მუშათა კლასს, მშრომელ გლეხობას, პროგრესულ ინტელიგენციას, ხალხებს, რომლებმაც დაამსხვრიეს კოლონიური ბორკილები, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ყველა მებრძოლს.

დაე ახალი, 1970 წელი იყოს მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობის, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმის შემდგომ გამარჯვებათა წელი.

ახალ წელს ვადღეგრძელებთ დიდ საბჭოთა ხალხს, კომუნისტურ პარტიას, ჩვენს საყვარელ სოციალისტურ სამშობლოს.

გილოცავთ ახალ წელს, გისურვებთ ბედნიერებას, ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

# საქართველოს სსრ დაჯილდოვდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის I ხარისხის დიპლომით

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარმა კომიტეტმა სოფლის მეურნეობის ძირითად სახეობათა პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის 1968 წლის გეგმების შესრულებაში მოპოვებული წარმატებებისათვის **საქართველოს სს რესპუბლიკა დააჯილდოვა I ხარისხის დიპლომით.**

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დიპლომებით დაჯილდოვდა 19 რაიონი. სოფლის მეურნეობის 609 მოწინავე დაჯილდოებულია დიპლომებით, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით, ფულადი პრემიებით.

(საქინფორმი).

# ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს!

დემნა შენგელაია
მწერალი-აკადემიკოსი.

ვეთხოვებით ამ წელიწადსაც, ვეთხოვებით და გვაგონდება არა მხოლოდ წარსული, ვფიქრობთ მომავალზეც. რას გვიმზადებს ეს მომავალი, რით აღინიშნება იგი ისტორიაში? დიახ, ისტორიაში. ჩვენ მივეჩვიეთ, რომ ყოველი წელი ისტორიული იყოს, ისტორიული არა როგორც მხოლოდ წარსული, არამედ როგორც მომავლის საფუძველი.

ასეთია ჩვენი ცხოვრება. ყველაფერი მოძრაობს, და სიმშვიდე მხოლოდ გვესიზმრებაო, თქვა დიდმა გოეთემ.

ჩვენ რთულ დროს ვცხოვრობთ. ჩვენს დროს შორეულ ვარსკვლავეთში ფრენის ეპოქას უწოდებენ, ეს არის ეპოქა ატომურ ძალთა დამორჩილებისა, ეპოქა ყოვლისმომცველი ავტომატიკისა, ელექტრონიკისა, კიბერნეტიკისა, და ყოველივე ამას სათავეში ვუდგავართ ჩვენ და ჩვენთან ერთად ჩვენი შვილები.

ფიქრობ, ფიქრობ ამ ახალი წლის კარიბჭესთან შემდგარი და გაოცებს ადამიანის შესაძლებლობა. არ იცი, სად დევს მისი ინტელექტის, მისი გაქანების საზღვარი.

ბარათაშვილის მერანმა, ადამიანის აზრმა მართლაც რომ გადაგვატარა ბედის საზღვარი.

ამ ახალ წელიწადს, ახალ იმედებს, გატაცებებსა და მისწრაფებებს მოგილოცავ შენ, ჩემო საყვარელო ქართველო ხალხო.

გისურვებ ბედნიერებას და ახალსა და ახალ გამარჯვებებს. ჩვენთვის არც წარსული წელი იყო ცუდი, მაგრამ მჯერა და ვიცი, რომ მომავალი წელიწადი უკეთესი იქნება.

ქართველო დედებო, ვუსურვებ თქვენს ოჯახებს სიხარულს, ქორწილებსა და შვილიერებას.

ქართველო ვაჟკაცებო, ვუსურვებ თქვენს მარჯვენას ახალ მიღწევებს, ახალი სამყაროების გახსნასა და აღმოჩენებს.

ქართველო მწერლებო, გისურვებთ ჩვენი ახალი, მოწინავე იდეებით სავსე წიგნების დაწერას.

კომპოზიტორებო, მხატვრებო, მსახიობებო, გისურვებთ ახალ სახეთა შექმნას და სახეთა ახალ ფერადობას.

ამ იმედებით ვეგებები, ამ სურვილებით ვხვდები თქვენთან ერთად ახალ წელიწადს და აწეული ყანწით ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს.

# შენთვის, ჩემო სამშობლოვ!

● თბილისი. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 6.000 მეტრი სხვადასხვა არტიკულის ქსოვილები. ასეთი მაღალი მაჩვენებლით დაამთავრა ხუთწლედის მეოთხე წელი თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" კოლექტივმა. გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 1.265 ათასი მანეთის პროდუქცია, მიღებულია 210 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

მაუდ-კამვოლის კომბინატი რესპუბლიკაში ერთ ერთი მოწინავე საწარმოა, სადაც უნარიანად იყენებენ ახალი რეფორმის სიკეთეს. ახლებურად მუშაობის სამი წლის მანძილზე კომბინატელებმა სტიმულირების მდიდარი ფონდები შექმნეს. მარტო, 1969 წელს წარმოების განვითარების ფონდში გადარიცხულია 125 ათასი მანეთი, მატერიალური წახალისების ფონდში — 472 ათასი მანეთი, სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ფონდში — 140 ათასი მანეთი. საწარმოში ამჟამად არ არის არც ერთი ჩამორჩენილი უბანი, ცვლა, ბრიგადა; ყველა წარმოებამ, რომლებიც მასშტაბით დიდ ფაბრიკებს უტოლდებიან, გადაჭარბებით შეასრულა წლიური დავალება.

კომბინატის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ხუთწლედის დავალება 1970 წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულოს, გამოუშვას 10 ახალი არტიკულის ქსოვილები. ფეიქრებმა და მქსოველებმა პირობა დადეს დამკვრელური შრომით აღნიშნონ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილემდე დარჩენილი დღეები.

● ჭიათურა (საქ. კორ.). ტრესტ „საქშახტმშენის" ჭიათურის სამართველოს მშენებლებმა ახალი საჩუქარი უძღვნეს ჭიათურელ მაღაროელებს. დამთავრდა რგანის მაღაროს მშენებლობა. მწყობრში ჩადგა საწარმო, რომლის წლიური წარმადობა 100 ათასი ტონა მარგანეცი იქნება. მაღაროს მთავარი გვირაბის სიგრძე 200 მეტრია, ხოლო ხაპანელე შტრეკისა — 400 მეტრი. დაიგო 1.600 მეტრი რკინიგზა. მოეწყო სამი მიწისქვეშა განმანაწილებელი ელექტროქვესადგური. აიგო სავენტილაციო და საკომპრესორო შენობები. მაღაროს მშენებლობაზე თავი გამოიჩინეს სამუშაოთა უბნებმა, რომლებსაც ქ. კაკენაძე და ი. ხვედელიძე ხელმძღვანელობენ. დავალებებს 120 პროცენტით ასრულებდნენ ჯ. კუპატაძის, რ. კაპანაძის, ნ. გურგენიძის ბრიგადები.





# ჩვენი საუკუნის 24 ახალი წელი

## ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საახალწლო ფურცლებიდან

**1901 წელი.** ვ. ი. ლენინი ახალ წელს ხვდება საზღვარგარეთ — გერმანიაში. მონაწილეობს იმ მოლაპარაკებაში, რომელიც წარმოებს „ისკრის" და „ზარიას" რედაქციებსა და მიუნხენში ჩამოსულ პ. ბ. სტრუვეს შორის.

**1902 წელი.** ახალი წლის დღეებში ვ. ი. ლენინი კვლავ გერმანიაშია და წერს კრიტიკულ შენიშვნებს რსდმპ პროგრამის პირველი პროექტის გამო, რომელიც შეადგინა გ. ვ. პლეხანოვმა.

**1903 წელი.** ვ. ი. ლენინი იმყოფება ქ. ლონდონში. გაზეთ „ისკრის" 1 (14) იანვრის ნომერში იბეჭდება ლენინის სტატია „მოსკოველი ზუბატოველები პეტერბურგში".

**1904 წელი.** ვ. ი. ლენინი იმყოფება შვეიცარიაში. მუშაობს თავისი ბროშურის („წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ") წინასიტყვაობისა და ბოლოსიტყვაობის შედგენაზე.

**1905 წელი.** გაზეთ „ვპერიოდის" ახალი წლის ნომერში დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის ორი სტატია — „პორტ-არტურის დაცემა" (მოწინავე) და „ბულბულს არაკებით როდი ჰკვებავენ". 5 იანვარს ციურიხელ ბოლშევიკთა ჯგუფისათვის გაგზავნილ წერილში ლენინი იძლევა წინადადებას III პარტიული ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ.

**1906 წელი.** ვ. ი. ლენინი პეტერბურგშია და არალეგალური ცხოვრების პირობებში ხვდება ახალ წელს. 4 (17) იანვარს გაზეთ „მოლოდაია როსიას" პირველ ნომერში ქვეყნდება ლენინის მოწინავე სტატია „მუშათა პარტია და მისი ამოცანები თანამედროვე ვითარებაში".

**1907 წელი.** ახალი წლის წინადღეებში ვ. ი. ლენინი მუშაობს კ. კაუტსკის ბროშურის — „რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალები და პერსპექტივების" რედაქტირებაზე, წერს მის წინასიტყვაობას. კვლავ არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას ეწევა პეტერბურგში.

**1908 წელი.** ვ. ი. ლენინი ახალ წელს ხვდება ჟენევაში. 1 (14) იანვარს სწერს წერილს თავის დას მ. ი. ულიანოვას პეტერბურგში და სთხოვს გაუგზავნოს ყველა პროფკავშირული ჟურნალი, რაც რუსეთში გამოდის, აგრეთვე დააჩქაროს ყველა იმ საბუთის გამოგზავნა, რაც საჭიროა საზღვარგარეთ ცხოვრების უფლების მიღებისათვის. ლენინი ამ პერიოდში მოსამზადებელ მუშაობას ეწევა გაზეთ „პროლეტარის" ჟენევაში გამოსაცემად.

**1909 წელი.** ვ. ი. ლენინი ცხოვრობს პარიზში, და ახალი წელი მის მოღვაწეობაში დაიწყო იმით, რომ იგი ბოლშევიკთა წინაშე კითხულობს ლექციებს ფილოსოფიის შესახებ.

**1910 წელი.** ვ. ი. ლენინის ემიგრაცია გრძელდება პარიზში. ახალ წელს იგი აქვე ხვდება. 2-23 იანვარს ლენინი მონაწილეობს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში. პლენუმზე მას ირჩევენ ცენტრალური ორგანოს „სოციალ-დემოკრატის" რედაქციის შემადგენლობაში და რსდმ პარტიის წარმომადგენლად საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში.

**1911 წელი.** ვ. ი. ლენინი კვლავ პარიზშია. იგი წერს შენიშვნას „იუდუშკა ტროცკის სირცხვილის სიწითლის შესახებ". 5 (18) იანვარს ლენინი კითხულობს რეფერატს ლ. ნ. ტოლსტოის შესახებ.

**1912 წელი.** ვ. ი. ლენინი ახალი წლის პირველ დღეებში იმყოფება პრაღაში. 5 (18) იანვრიდან 17 (30) იანვრამდე ხელმძღვანელობს პარტიის პრაღის კონფერენციის მუშაობას.

**1913 წელი.** ამჯერად ვ. ი. ლენინი ახალ წელს ხვდება პოლონეთის მიწაზე. იგი ქალაქ კრაკოვში ხელმძღვანელობს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის თათბირს ქ. კრაკოვში. ამ დღეს გაზეთ „პრავდაში" ქვეყნდება ლენინის სტატია „ინგლისის მუშათა მოძრაობა 1912 წელს", კრაკოვის თათბირის შემდეგ გამართულ ცენტრალური კომიტეტის პირველ სხდომაზე ლენინს ირჩევენ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს შემადგენლობაში.

**1914 წელი.** ახალი წლის წინადღეებში ვ. ი. ლენინი ატარებს კრაკოვში რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირს ბოლშევიკების სათათბიროს ფრაქციის მუშაობის საკითხებზე. 1 (14) იანვარს გაზეთ „პროლეტარსკაია პრავდის" ფურცლებზე იბეჭდება ლენინის სტატია „4000 მანეთი წლიურად და 6-საათიანი სამუშაო დღე".

**1915 წელი.** ვ. ი. ლენინი ახალ წელს ხვდება შვეიცარიაში. 4 იანვარს ინესა არმანდისათვის გაგზავნილ წერილში აკეთებს კრიტიკულ შენიშვნებს მუშა ქალებისათვის ბროშურის გეგმაზე, რომელიც შეადგინა არმანდმა.

**1916 წელი.** ვ. ი. ლენინი ცხოვრობს ქ. ბერნში (შვეიცარია). აქ ხვდება ახალ წელს. 2 (15) იანვარს ლენინი ხელმძღვანელობს ციმერვალდელ მემარცხენეთა ბიუროს სხდომას, სადაც განიხილება საკითხი ბიუროში მემარცხენე ჰოლანდიელი სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებისა და ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის ორგანოს გამოცემის შესახებ.

**1917 წელი.** ვ. ი. ლენინი კვლავ შვეიცარიაში ეგებება ახალ წელს. 1-2 (14-15) იანვარს იგი ხელმძღვანელობს შვეიცარიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატების თათბირს. 9 (22) იანვარს ლენინი გამოდის მოხსენებით ციურიხის ახალგაზრდობის კრებაზე 1905 წლის რევოლუციის შესახებ.

**1918 წელი.** — საბჭოთა ხელისუფლების პირველი ახალი წელი. 1 (14) იანვარს ლენინი ხვდება პეტროგრადში აკრედიტებულ დიპლომატთა ჯგუფს. ამის შემდეგ გამოდის სიტყვით არმიის ნაწილების მიტინგზე. უკან გამობრუნების დროს ლენინის ავტომობილს ხროლა აუტეხეს კონტრრევოლუციონერთა ბანდებმა. საბედნიეროდ, — უშედეგოდ. საღამოს თავმჯდომარეობს სახკომსაბჭოს სხდომას, ხოლო ღამით წერს განკარგულებას ციხიდან რუმინეთის საელჩოს წევრების განთავისუფლების შესახებ.

**1919 წელი.** ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო სამოქალაქო ომის ცეცხლშია გახვეული. ვ. ი. ლენინი მუშაობს სტატიაზე „პატარა სურათი დიდი საკითხების გასარკვევად". 2 იანვარს ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, განსახილველად შეაქვს ხაბიბლიოთეკო საქმის საკითხი. ამ სხდომაზე განიხილავენ აგრეთვე საკითხებს: წითელარმიელთა ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ, მანქანათმშენებელი ქარხნების შესახებ და სხვ.

**1920 წელი.** ვ. ი. ლენინი ქ. მოსკოვის ბასმანის რაიონში საახალწლო საღამოზე გამოდის სიტყვით წითელი არმიის მიერ მოპოვებული გამარჯვებებისა და ეკონომიურ რღვევასთან მომავალი ბრძოლის ამოცანების შესახებ.

**1921 წელი.** ახალი წლის წინადღით საბჭოების VIII ყრილობის მიერ არჩეული სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველ სხდომაზე ვ. ი. ლენინს ერთხმად ამტკიცებენ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ. ახალი წლის პირველ დღეებში ლენინი შვებულებაშია და ცხოვრობს გორკაში.

**1922 წელი.** ახალი წლის წინა დღეს ვ. ი. ლენინი მონაწილეობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაში. ამავე სხდომაზე პოლიტბიუროს გამოაქვს გადაწყვეტილება მიეცეს ლენინს ექვსი კვირის შვებულება 1922 წლის 1 ივნრიდან. იგი დასასვენებლად მიემგზავრება სოფელ კოსტინოში (მოსკოვის ახლოს), 8 იანვარს ლენინი სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველს ავალებს დაადგინოს სახელმწიფო მომარაგებისაგან მოხსნილი ანგარიშგებისა და ბალანსების წარმოდგენის წესი, დააწესოს სახელმწიფო ბანკის წინაშე ყველა სავაჭრო საწარმოს ანგარიშგება.

**1923 წელი.** ვ. ი. ლენინის ჯანმრთელობა შერყეულია, მაგრამ ახალი წლის წინადღეებში ექიმები მას წიგნების კითხვის ნებას აძლევენ. 2 იანვარს ლენინი უკარნახებს სტატიას „ფურცლები დღიურიდან", ხოლო 4 და 6 იანვარს— სტატიას „კოოპერაციის შესახებ".

**1924 წელი.** ვ. ი. ლენინის ჯანმრთელობა ძლიერ გაუარესებულია. მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის ყურადღების ცენტრშია საყვარელი ბელადის სიცოცხლის ბედი...

**1970 წელი.** მთელ მსოფლიოს ეფინება სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების სიტყვები: „ლენინის სახელი და საქმე მარად იცოცხლებს"!



### კარლო ონელი

## მომილოცნია ახალი წელი!

მოდი, მეგობარო, გეამბორო, მომეცი ხელი,
მინდა მოგილოცო
ახალი წელი.

სანამ ხარ, ძმობდე მზეს და აისებს,
გხიბლავდეს მშობლის სიტყვა და ნანა,
ვინც ბრძანა შენი სიდარბაისლე,
შენი ლამაზი სიცოცხლე ბრძანა.

სამშობლომ გზა და ნაბიჯი გიქოს,
გამკოს იის და ვარდის ფერებმა,
სულ შემართება, სულ წინსვლა იყოს
შენი შვება და ბედნიერება.

მოდი, მეგობარო, გეამბორო, მომეცი ხელი,
მომილოცნია
ახალი წელი!

### აკაკი გეწაძე

## სავსე მაქვს წრფელი ღიმილით თასი

ახალწლის ღამე მთა-ბარში მღერის,
სიცილით დადის კარიდან კარად.
სხვაგან სად არის ამდენი ფერი,
საქართველოში რომ ბრწყინავს მარად.
მე მიყვარს, როცა ახალი წელი
მთებზე შემდგარი ანათებს თეთრად
და მიწის გული, მარადის ცხელი,
თეთრი თოვლის ქვეშ საამოდ ფეთქავს.
ახალწლის ღამე ღიმილით მავსებს,
სავსე მაქვს წრფელი ღიმილით თასი.
შევცქერი ცას და მგონია ასე:
სულიც მაქვს დიდი ლაჟვარდის მსგავსი.
დღეს სხვანაირად ბრწყინავს მთა-ბარი,
სავსე ჭიქებიც მზესავით ელავს.
მე ვარ ახალწლის ერთი მაყარი
და მსურს ამ ქვეყნად დავლოცო ყველა.
ვეხმატკბილები სიცოცხლის მგოსნებს,
გულისთქმას ვარხევ მგალობელ ზარად:
ჩვენში აკვანი არ უნდა მოსცდეს
და საქართველო იცოცხლებს მარად.
ვარ მგალობელი უცრემლო დღეთა,
ავი არასდროს მქონია ზრახვა.
ფუძეს ვულოცავ უძველეს მცხეთას
და თბილისს — მარად ძველსა და ახალს.
ცა სასიკეთოდ გვიმზერდეს მარად,
და ცეცხლი მხოლოდ ბუგავდეს ეკლებს.
დაე ამ ლექსმაც კარიდან კარად
ჩამოიაროს გულკეთილ მეკვლედ.

### ლილი ნუცუბიძე

## იყოს მშვიდობა!

ახალწლის დილა მოდის ლამპარით,
მოდის სიმღერით, ფიფქის მარულით,
დაბედებოდეს ოჯახს აკვანი,
სითბო, სიკეთე და სიყვარული.
იყოს მშვიდობა, გულს გული ეგრძნოს
და მაღლდებოდეს კაცი კაცითა,
ლხენით აივსოს სახლი და ეზო,
გალაღდნენ მთები, — ბუდე არწივთა.
ჰე, მზეო, თვალი მიჭირავს შენსკენ,
ხარ ჩემი ლოცვა და საფიცარი,
ვისაც ვუყვარვარ, მოვიდეს მეკვლედ —
ღიაა გულის და სახლის კარი.
ცა ფანტელებით არის ნახატი
და ნიავს მოაქვს სუნთქვა ენძელის.
მომილოცნია დილა ახალწლის,
მამულო ჩემო, იყავ დღეგრძელი!

# რომელი ერთი ჩამოვთვალო!..

### გრიგოლ აბაშიძე

მადლიერი ქართველი ხალხი კიდევ ერთ წელიწადს ულოცავს გზას. 1969 წელმა ჩვენს ქვეყანას ბევრი გამარჯვება მოუტანა, მაგრამ ქართული მწერლობისათვის, მთელი ქართული კულტურისათვის ეს წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო.

ჯერ იყო და მოძმე უკრაინელმა ხალხმა ქართული ლიტერატურის დეკადა იზეიმა არნახული გულითადობით.

ვარდ-ყვავილებით მოფენილ გზებზე გამოსული მასპინძლები ტაშითა და სიმღერებით გვხვდებოდნენ და გვაცილებდნენ რუსთაველის ქვეყნის შვილებს, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მადიდებელ ქართველ მწერლებს. ჩვენმა გულუხვმა მასპინძელმა — უკრაინამ საქართველოს ახალი შესანიშნავი საჩუქარი მიუძღვნა — მირგოროდში ძეგლი აუგო ჩვენი ხალხების ძმობის დიდ მომღერალს, უკვდავ გურამიშვილს.

მერე სომხეთის დიდი პოეტის ოვანეს თუმანიანის დაბადების 100 წლისთავი ვიდღესასწაულეთ, პოეტის სამშობლო მოვიარეთ და თბილისში მის საფლავზე ერთხელ კიდევ საქვეყნოდ შევფიცეთ ერთიმეორეს, რომ ორი მეზობელი ხალხის სანიმუშო მეგობრობას, რომელსაც უძველესი და ულამაზესი ტრადიცია აქვს და რომლის განმტკიცებასაც ასე შთაგონებით უმღეროდა ჩვენი სატახტოს მოქალაქე ოვანეს თუმანიანი, კიდევ უფრო გავაღრმავებთ და კიდევ უფრო განვამტკიცებთ.

შემდეგ იყო და... გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარებულმა ქართული კულტურის დღეებმა გოეთესა და ბახის ქვეყანა ქართული კულტურის თვითმყოფობით, მისი განუმეორებელი მშვენიერებით, სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით მოხიბლა და აღაფრთოვანა.

შემდეგ... მაგრამ რომელი ერთი ჩამოვთვალო!

მაინც ვიტყვი სულ უკანასკნელ დიდ სიხარულზე, რადგან ქართველი ხალხის, მისი კულტურის უკანასკნელი დიდი დღესასწაული რაღაც ორიოდე დღის წინ ჩატარდა და ჯერ კიდევ არ გაუვლია წარუშლელი შთაბეჭდილების სიცხოველეს.

ის, ვინც ამ დღეებში ქუთაისის საოპერო სცენის გახსნას დაესწრო, ვერასოდეს ვერ დაივიწყებს იმ საღამოს, რომელიც ქართული მუსიკისა და მთელი ქართული კულტურის ნამდვილი ზეიმი იყო. ქუთაისში საოპერო თეატრის ფილიალის გახსნამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ენერგიის განუსაზღვრელობაში, მის უდიდეს შესაძლებლობაში.

ახალი, 1970 წელი განსაკუთრებული მნიშვნელობის წელი იმით არის, რომ მთელი პროგრესული კაცობრიობა ზეიმობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის, მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს, ზეიმობს ლენინიზმის, როგორც ყველაზე რევოლუციური მოძღვრების უკვდავებასა და გამარჯვებას.

ეს ჩვენი საყოველთაო-სახალხო დღესასწაულია, და, ბუნებრივია, რომ ქართული მწერლობა ხელცარიელი როდი ხვდება ამ დიად ზეიმს.

საიუბილეოდ გამართულმა კონკურსმა დაგვანახვა, თუ როგორი პასუხისმგებლობით განიმსჭვალნენ ჩვენი საუკეთესო მწერლები ამ დიდი ვალდებულების წინაშე. კონკურსის შედეგად ჩვენ მივიღეთ რამდენიმე მაღალმხატვრული ნაწარმოები პროზის, პოეზიისა და დრამატურგიისა — ეს არის საუკეთესო პასუხი იმ ზრუნვაზე, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის მეთაურები იჩენენ ქართული მწერლობისა და მთელი ჩვენი ეროვნული კულტურის მიმართ.

ორიოდე სიტყვას ჩემს საკუთარ შემოქმედებაზეც ვიტყვი: ვამთავრებ ჩემი ახალი რომანის „ყორნალის" მეორე წიგნს (პირველი უკვე მიიღო მკითხველმა). 1970 წელს დავწერ ლექსების ახალ ციკლს სამშობლოზე, ჩვენი სამშობლოს ხალხთა ძმობაზე.

მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების ისტორიულ მასალებზე მუშაობას თითქმის ოცი წელი მოვანდომე. ამ მუშაობის შედეგი არა მარტო ის ორი რომანია, რომელსაც ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს. ამჟამად ვწერ ისტორიულ რომანს „ცოტნე დადიანს".



რომანში ასახული იქნება ქართველი ხალხის ვაჟკაცობის, რაინდობისა და გაუტეხლობის, მორალური სიწმინდის ის უმაღლესი გამოვლენა, რომელიც ცოტნე დადიანის ცხოვრებასა და გმირობაში ასე ლამაზად გამოიხატა...

ბედნიერი იყოს ახალი წელი ჩვენი სამშობლოსათვის, ბევრი ახალი სიხარული და გამარჯვება მოეტანოს ჩვენი ხალხისათვის 1970 წელს.

### ფოტორეპორტაჟი



## ძველი წლის ბოლო დღე ახალგაზრდა ქალაქში

რუსთავი ახალგაზრდა ქალაქია. ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა შემთხვევით როდი აირჩია იგი საახალწლოდ. ამ სამრეწველო ცენტრში ჩქარი ტემპით გრძელდება სამრეწველო ობიექტების მშენებლობა. ლენინურ ვახტზე თავდადებით შრომობენ მეტალურგიული ქარხნის, სრულიად ახალგაზრდა საწარმოს — ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის და სხვა საწარმოთა კოლექტივები. მშენებლები უკვე ამთავრებენ ქიმიური კომბინატის ახალ წარმოებათა მშენებლობას.

მიიწურა ძველი წლის უკანასკნელი დღე. პირნათლად მოიხადეს თავიანთი ვალი სამშობლოს წინაშე რუსთაველმა მშრომელებმა.

ცვლა დამთავრდა. ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის საქსოვი საამქროს კომკავშირელი მქსოველები (სურათზე ზემოთ) კმაყოფილი არიან. (მარჯვნიდან) ნარგიზ ამაშუკელმა, ნინო დარჩიამ, ტატიანა რუდენკომ, მზია შალამბერიძემ, ციცო მაჩაიძემ, ვენერა გესტაევამ და ნათელა არაქელიანმა წლიური დავალება შეასრულეს. გეგმის გადამეტებით მათს ანგარიშზეა ასობით მეტრი მზა პროდუქცია.

მეტალურგიული ქარხნის ცნობილი მეტალურგები ი. ტაბატაძე (მარცხნივ) და მ. მეტრეველი ეს არის გამოვიდნენ მარტენის საამქროდან. გამოშვებულია კიდევ ერთი ჩქაროსნული ნადნობი. ახალი წლის ღამესაც ისინი პირველნი გამოადნობენ ფოლადს ხუთწლედის გადამწყვეტი წლის ანგარიშში. (სურათზე ქვემოთ).

უკანასკნელი სამუშაოები მიმდინარეობს ქიმიური კომბინატის ამიაკის წარმოების მეორე რიგის მშენებლობაზე. მემონტაჟეები (მარჯვნიდან) ს. გეგეჭკორი, შ. საზუაშვილი და ს. ეგიაზაროვი ამთავრებენ სადენების მონტაჟს ამიაკის სინთეზის განყოფილებაში (სურათზე მარცხნივ).

ფოტო ვლ. გინზბურგისა.





### პატარა ოკეანედან

## „სალხინო" ატლანტიკაში

ცენტრალური ატლანტიკიდან, დაკარის რაიონიდან, მოვიდა რადიოგრამა, რომელშიც ნათქვამია, რომ ტრაულერ „სალხინოს" ეკიპაჟმა (კაპიტან-დირექტორი დ. ჯოჯუა) ვადამდე შეასრულა ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმა. ეკიპაჟმა გეგმის გადამეტებით 14 ათას ცენტნერამდე თევზი დაიჭირა და ახლა იანვრის უკანასკნელი დეკადის ანგარიშში მუშაობს.

წლიური დავალების ვადამდე შესრულება უპატაკეს სამშობლოს აგრეთვე გემების — „ოქტიაბრსკოეს" (კაპიტან-დირექტორი ნ. მხატვარი) და „ბათუმის" (კაპიტან-დირექტორი ნ. თავაძე) ეკიპაჟებმა, კაპიტან-ბრიგადირების გ. უკლებას, ა. ბებიას, ა. ჩიკიროვის, ა. კაროსანიძისა და ბევრ სხვათა სეინერებმა.

ახლა საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველოს გემები თევზს იჭერენ აფრიკის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში. (საქდესი).

# მიწავ, მშობლიურო!

უკლებლივ ყველასათვის და თვითეულისათვის ცალცალკე რაღაც განსაკუთრებულია ახალი წლის შეხვედრა, მისი პირველი დღე.

ყოველი წელი პირველი იანვრით იწყება, მაგრამ ეს დასაწყისი არასოდეს არ იმეორებს სხვას. ის თავისთავადია, ორიგინალურია. ყოველთვის ამოუცნობი საიდუმლოებებით არის აღსავსე. ამიტომ არის საინტერესო და ამაღელვებელი.

დღეს ჩვენს წინ ახალი კალენდარია. პირველი ფურცელი თრთის ჩვენი შეხებით და სუნთქვით. იგი თითქოს იმახსოვრებს ჩვენს ღელვანდელ ფიცს, სადღეგრძელოს. აღბეჭდავს დაპირებას. ელოდება ოცნებებს.

განვლილია კიდევ ერთი დიდი წლიწადი. შემდგომი გზა კი თავიდან როდი იწყება, იგი გრძელდება. იგი გაივლის ახალ ქარხნებზე, ახალი სახლების გარემოცვაში, მინდვრის განახლებულ სიმწვანეში. ის გაზრდის არა მარტო ადამიანებს, აამაღლებს ხეებსაც. ის გააკეთებს უფრო მეტს, ვიდრე სხვა რომელიმე წელს გაუკეთებია ისტორიაში.

ახლა ძნელია ყველაფრის წარმოდგენა მთელი სიცხადით. წელიც ადამიანის ბუნებასავით რთულია. მისი შინაარსი, შესაძლებლობანი უსაზღვროა. სწორედ ამიტომ ასე მოსდებია გულს მისი მხურვალება.

წელი და ადამიანი ერთმანეთს თავისებურად უგებს, უხდება. არსებობს რაღაც ახსნელი კავშირი. ამიტომ ტრიალებს ამდენი ღიმილი დღეს, ამიტომ აზვირთებულა სიხარული. ჩვენ ბუნების შინაგანი ძალით ვხვდებით, რომ ახალი წელი სამშობლოს, ხალხს, თითოეულ ჩვენგანს ახალ ბედნიერებას მოუტანს.

ცხოვრების სიკეთით ჩვენ შევეჩვიეთ თქმას — ბედნიერება. ნურც მოგვშლოდეს ეს ჩვევა! მაგრამ ისიც ვიცით, რომ ბედნიერება თავისთავად არ მოდის.

როცა გურჯაანში ან თელავში დღეს ერთმანეთს ბედნიერებას უსურვებენ, ფიქრით უმალვე გადასწვდებიან ვაზს. გორში მეხილეები კვირტებს მიეფერებიან შეცივნულ ტოტებზე. მახარაძეში ჩაის ბუჩქებს მიესალმებიან...

მიწავ, მშობლიურო! ყველაფრის დედა ხარ და საფუძველი. შენ თვითონ ხარ ბედნიერება, რომელსაც უანგარიშოდ და ხელაღებით როდი იძლევი. შენს მადლიერ შვილებს ჯერ საქმეს სთხოვ და მერე დროსტარებას. ჯერ ოფლის მოწურვას, მერე ყანწს თვითონ მიაწვდი — შეგერგებაო!

ყველაფერს სიმართლე, შინაარსი და ღრმა აზრი ამშვენებს. ბედნიერება მაშინ არის ტკბილი, როცა ის მოპოვებულია, როცა ნაღდად გეკუთვნის.

ტრადიციის მიხედვით ჩვენი სუფრა ცოცხალი საქმის დასაწყისია. ამ სუფრასთან ადამიანები აღნიშნავენ ერთმანეთის დამსახურებას სამშობლოს წინაშე, ხალხის წინაშე, მეზობლისა და მეგობრის წინაშე. ამ შეფასებაში ხშირად არის ხოლმე გადაჭარბება, რომელსაც ხუმრობით ასეთი განმარტება მოსდევს — თქვენ გინდათ ასეთი ვიყო! გმადლობთ!

ეს უბრალო აღიარება როდია. საახალწლო სუფრის სჩვევია ეს გადაჭარბებაც და აღიარებაც. ჩვენ გვინდა ადამიანები, ჩვენი მახლობლები და ამხანაგები უკეთესი იყონ. ყველამ თავისი სინდისით აწონოს ქება და დაიმახსოვროს!

ჩვენში ვიცით, როდის იწყება ახალი წელი კალენდრის მიხედვით. ასეთი მკაფიო დასაწყისი წლის დროებისათვის არ არსებობს ფაქტიურად. ახლა შავიზღვისპირეთში მანდარინები ჰყვავიან და ამ საახალწლო დილას გაზაფხულის თვალებით იყურებიან. იქვე გვერდით ოქროსფერ ნაყოფს კრეფენ. გაზაფხული და შემოდგომა ერთმანეთს გადახვევიან. ასეთი ადგილებიდან შეუიარაღებელი თვალით მოჩანს თოვლიანი მწვერვალები, სადაც ყინვა პიტალო კლდეს ტეხს.

ბუნების ასეთ კონტრასტებიან მამულში შრომა დიდ დაკვირვებას, ნიჭიერებას და მიხვედრას მოითხოვს. ამაზე დაგვაფიქრებს დღეს თბილისიც და ყველაზე მოერეული სვანური სოფელი უშგულიც...

სამოცდაათი წელი განსაკუთრებულია. მას დიდი ლენინის წლიწადი ჰქვია. ჩვენ არაჩვეულებრივად გვიხარია ეს. ამიტომ მაგრად, ძალიან მაგრად ვართმევთ ხელს ამ წელიწადს და კანონიერად ვამაყობთ, რომ მშვენიერ აპრილში ვიქნებით დედამიწაზე ყველაზე დიდი ზეიმის მონაწილე. ხოლო თითოეულის სიხარული იმით განიზომება, თუ რა გააკეთა სამშობლოსათვის, ლენინის უკვდავი საქმისათვის.

**ვლადიმერ გელაშვილი.**

## სოციალისტურ ქვეყნებში





# ზეიმობს თავისუფალი კუბა

### 1 იანვარი კუბის რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაული — თავისუფლების დღეა

თერთმეტი წლის წინათ, 1959 წლის პირველ იანვარს კუბელმა მეამბოხეებმა ფიდელ კასტროს მეთაურობით თავიანთ პატარა კუნძულს თავისუფლება მოუტანეს. რევოლუციამ გაიმარჯვა და ახალგაზრდა რესპუბლიკა საზოგადოებრივი განვითარების ახალ გზას დაადგა.

სოციალურ გარდაქმნებს სათავეში ჩაუდგა კუბის კომუნისტური პარტია, რომელმაც უწინარეს ყოვლისა ხელი მოჰკიდა სოციალისტური საზოგადოებისათვის მატერიალური ბაზის შექმნას.

ამ ერთი ათწლეულის მანძილზე მნიშვნელოვნად გაძლიერდა ქვეყნის ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა. თუ რევოლუციის პირველ წლებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მთავარი ამოცანა იყო, დღეს უკვე ჰავანაში ატომური ფიზიკის ინსტიტუტი მოქმედებს.

კუბის რევოლუცია სწორედ იმიტომ გახდა მაგალითი ლათინური ქვეყნების სხვა ხალხთათვის, რომ იგი შემოქმედებითი ხასიათის მატარებელია, აგრეთვე იმიტომ, რომ მილიონობით ადამიანი თვალნათლივ ხედავს სოციალისტური წყობილების უდიდეს უპირატესობასა და მიღწევებს.

კუბის რესპუბლიკაში ახალი საზოგადოების მშენებლობა ხორციელდება ბლოკადისა და პროვოკაციების პირობებში, რომლებსაც იმპერიალიზმი ეწევა. მაგრამ კუბელი ხალხი ყოველდღიურად გრძნობს სოციალისტური ქვეყნების, უწინარეს ყოვლისა სსრ კავშირის უანგარო მეგობრულ დახმარებას, მიუხედავად იმისა, რომ მათ ათასობით კილომეტრი აშორებს ერთმანეთს.

სურათზე (მარცხნივ): ახალი საცხოვრებელი სახლები კუბის დედაქალაქ ჰავანის ერთ-ერთ რაიონში; კუბელი ხალხი დიდ მზრუნველობას იჩენს ახალგაზრდა თაობისადმი. შექმნილია საბავშვო ბაღებისა და ბაგების ფართო ქსელი. სურათზე (მარჯვნივ): ბავშვთა ბაგაში. ვიდრე დედები სამუშაოზე არიან, ბავშვებს მზრუნველობით ადევნებენ თვალყურს აღმზრდელები.

• • •

ოტტო პრენსა ლატინადესისა.

# ვამაყობთ!

მოის დეკალო,
ბულგარელი ჟურნალისტი.

მიმავალი წელი ჩვეულებრივი როდი იყო ბულგარელი ხალხისათვის. ეს იყო საიუბილეო წელი — ჩვენმა ქვეყანამ აღნიშნა ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლებისა და სახალხო ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავი სახელოვანი წლისთავის აღსანიშნავად მთელი რესპუბლიკა ჩაება შეჯიბრებაში, რომელმაც შესანიშნავი ნაყოფი მოგვიტანა ეკონომიკის ყველა დარგში.

მიმავალ წელს მოხდა კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა: სექტემბერში გაიმართა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც დასახა ღონისძიებანი ბულგარეთის ეკონომიკის შემდგომი მკვეთრი აღმავლობისათვის. პლენუმზე განხილულ იქნა წარმოების კონცენტრაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ახალი სისტემის პრობლემები.

ჩვენი ქვეყნის საერთო წარმატებით ბალანსში განვლილ წელს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეკონომიკას. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მეტეოროლოგიური პირობები ბულგარეთის ტერიტორიაზე მეტად არახელსაყრელი იყო. გვალვიანმა ზაფხულმა, გაჭიანურებულმა ზამთარმა ცოტა სიძნელე კი არ შეუქმნა სოფლის მეურნეობას. დაისეტყვა 800 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი — სხვა ასეთი შემთხვევა ხნიერებს არ ახსოვთ. მაგრამ ბუნებრივი პირობებით მიყენებული ზიანის აღმოფხვრისათვის დროულად მიღებულ ღონისძიებათა მეოხებით სოფლის მეურნეობა და მთლიანად ეკონომიკა კვლავ მაღალი ტემპებით ვითარდებოდნენ. წინასწარი შეფასებით საზოგადოებრივი პროდუქტი გაიზრდება 10,4 პროცენტით, ხოლო ეროვნული შემოსავალი — 8,9 პროცენტით, მაშინ როცა მეხუთე ხუთწლედში (1966-70 წწ.) ზრდის საშუალოწლიური ტემპი დაგეგმილი იყო 8,5 პროცენტი.

განსაკუთრებით სასიხარულოა მრეწველობაში მიღწეული წარმატებანი. ნავარაუდევია, რომ სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 12 თვეში 10 პროცენტით და მეტად გაიზრდება. ახლაც ჩვენი ინდუსტრია ათ დღეში იმდენ პროდუქციას უშვებს, რამდენსაც ომამდე წელიწადში აწარმოებდა.

ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ ბულგარეთის მრეწველობაში მოხდა არა მარტო რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი ცვლილებებიც. წამყვან როლს ახლა მძიმე ინდუსტრია ასრულებს. 1969 წელს მისმა წილმა სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობაში 58 პროცენტს მიაღწია. [illegible] და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმიური პროდუქტების წარმოება.

მიმავალი წელი აღინიშნა კიდევ ერთი მიღწევით. სიქხა[illegible] ტაციონ გადაეცა სარეკორდო რიცხვი საწარმოებისა, საფუძველი ჩაეყარა ეროვნულ ატომურ ენერგეტიკას. ქალაქ კოზლოდუის ახლოს დაიწყო ბულგარეთში პირველი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა.

ჩვენმა სოფლის მეურნეობამ, მიუხედავად ბუნების ჭირვეულობისა, მეტი პროდუქცია აწარმოვა, ვიდრე 1968 წელს. შრომით სამიწათმოქმედო კოოპერატივებსა და სახელმწიფო მეურნეობებში ახლა მუშაობს 88 ათასზე მეტი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაანგარიშებით), 17 ათასი კომბაინი, 25 ათასი ტრაქტორის სათესი. წინანდელზე უფრო სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია შრომის სამრეწველო მეთოდების დანერგვა.

მატერიალურ წარმოებაში მიღწეულმა წარმატებებმა შესაძლებელი გახადა ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება, კულტურის ზრდა. ახლა მერხებს ყოველდღე უსხდება 1.617.300 მოსწავლე — ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მეხუთედი ნაწილი. რესპუბლიკას ჰყავს უმაღლესი განათლების მქონე 160 ათასი სპეციალისტი. ყოველი მეორე სახლი ბულგარეთის ქალაქებისა და სოფლების ქუჩებზე აშენებულია სახალხო ხელისუფლების წლებში.

ბულგარელ ხალხს ყველა საფუძველი აქვს ამაყობდეს მიღწეულით, რწმენით შესცქეროდეს მომავალს.

სოფია, 1969 წ. დეკემბერი.

### ძმური ხელი

● ულან-ბატორი. (საკდესი). აქ დამთავრდა მშენებლობა ორი ახალი მიკრორაიონისა, რომლებიც აგებულია საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით. ახალი კომპლექსის შემადგენლობაშია საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი 100.000 კვადრატულ მეტრს შეადგენს.

### სალუტი სლოვაკიაში

● პრაღა, 31 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ სლოვაკიის ქალაქ ფილიაკოვოში საბჭოთა არმიის მიერ მისი განთავისუფლების 25 წლისთავის აღსანიშნავად გაისმა საარტილერიო სალუტი.

როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ამ ღირსშესანიშნავი თარიღის დღესასწაულობაში მონაწილეობდნენ საბჭოთა არმიის წარმომადგენლები.

## 89-ჯერ!

წარმატებით განაგრძობს ფრენას „ინტერკოსმოს-2" თანამგზავრი, რომელიც იკვლევს დედამიწის იონოსფეროს მახასიათებლებს და გაუშვეს ამა წლის 25 დეკემბერს. როგორც ცნობილია, თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რომელიც დამზადებულია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სსრ კავშირში, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სპეციალისტების მიერ დამუშავებული ტექნიკური დავალებებით.

მოეწყო ოპერატიულ-ტექნიკური ჯგუფის სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის თანამგზავრზე დადგმული აპარატურის მუშაობის მართვის სპეციალისტები.

უკანასკნელ სხდომაზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რადიოტექნიკურ ინსტიტუტში ამ ჯგუფმა განიხილა თანამგზავრის ფრენის განვლილი დღეების შედეგები. 1969 წლის 31 დეკემბრის 13 საათისათვის „ინტერკოსმოს-2" თანამგზავრმა დედამიწას 89-ჯერ შემოუარა. თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

ექსპერიმენტში მონაწილე სოციალისტური ქვეყნების იონოსფერული ობსერვატორიები და რადიოგადამცემი „მაიაკის" სიგნალების მიღების სადგურები ეწევიან შეთანხმებულ დაკვირვებას. განსაზღვრულია შემდგომი სამუშაოების პროგრამა. (საკდესი).

## მსოფლიო დღეს

### ოთხთა შეხვედრა

ნიუ-იორკი, 31 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა მორიგი შეხვედრა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგების საკითხებზე.

შემდეგი შეხვედრა დანიშნულია 13 იანვარს.

### პენტაგონის ბიუჯეტი

ვაშინგტონი, 31 დეკემბერი. (საკდესი). ორი კვირის საშობაო დასვენებისათვის კალიფორნიაში გამგზავრების წინ პრეზიდენტმა ნიქსონმა დაამტკიცა სამხედრო ხარჯების ბიუჯეტი, რომელიც თითქმის 70 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ამ ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯვა დაიწყო ჯერ კიდევ მიმდინარე საფინანსო წლის დამდეგს — ესე იგი 1969 წლის 1 ივლისს.

## ესეც შენი „თავისუფალი სამყარო"!

# ორმაგი თამაში შინ და გარეთ

ჯეიმს ოლდრიჯი

ერთხელ ნოემბერში სადილად სუფრას ვუსხედით საფრანგეთიდან ჩამოსულ მეგობართან ერთად. მოულოდნელად ვილაცამ ძლიერად დარეკა. წავედი, რომ კარი გამეღო. მაგრამ კართან არავინ არ აღმოჩნდა. მხოლოდ ქვევით რომ ჩავიხედე, დავინახე ათიოდე წლის ხუთი თუ ექვსი ბიჭუნა. მათ იქვე წამოიწყეს საშობაო სიმღერა „კეთილ მეფე უენსესლასზე, სახლიდან რომ გამოიხედა..." ეს ცნობილი საშობაო სიმღერაა, და ნორჩ მომღერლებს იმედი ჰქონდათ, რომ რამდენიმე შილინგს იშოვნიდნენ თავიანთი საჭიროებისათვის.

— თქვენ რაღაც ნაადრევად წამოიწყეთ სიმღერა, — ვითომ უკმაყოფილოდ ვუთხარი მათ, — საშობაო სიმღერებს ნოემბერში ვინ მღერის. ერთი თვის შემდეგ მოდით!

—ერთი შილინგი მაინც მოგვეცით ახლა, — მთხოვა ბიჭუნამ.

— არავითარ შემთხვევაში, — ვუპასუხე მე, — მეტისმეტად ადრეა, აბა, წადით შინ.

ისინი წავიდნენ და თანაც ჩემი მისამართით რამდენიმე სიტყვაც გამაგონეს ისეთ ენაზე, რომელსაც ძალიან იშვიათი შემთხვევებისათვის ვინახავ.

— ალქაჯები, შევჩივლე ცოლსა და სტუმარს, — ნოემბერში იწყებენ შობას. რას უნდა მოელოდეს მათგან კაცი შემდეგში?

— ტყუილად ლანძღავ მაგათ, — მიპასუხა ცოლმა, — ყველა დიდი მაღაზია და პატარა დუქნებიც უკვე შეუდგნენ საშობაო საქონლის რეკლამას. ამათ რატომ არ უნდა დაიწყონ თავიანთი ბიზნესი ასევე ადრე?

საქმე ის არის, რომ ტრადიციული საშობაო დღესასწაულები ინგლისში იმდენად შთანთქა კომერციამ, იმდენად მოიცვა სავაჭრო მისატყუებლებმა, რომელთა დანიშნულებაა რაც შეიძლება მეტი დაგვცინცლონ შობის დღესასწაულის გამო, რომ ძველი ტრადიცია წლითიწლობით ფუჭდება. დიდი ბიზნესი სულ უფრო და უფრო ადრე იწყებს შეტევას მყიდველზე, იმდენად იმორჩილებს დღესასწაულებს, რომ ათი წლის ბავშვებსაც კი ედება ვაჭრუკანული სულისკვეთება, იმის სურვილი, რომ სხვებს დაასწრონ და ფული იშოვნონ.

სადილს უკვე ვამთავრებდით, რომ კარზე მაგრად დააკაკუნეს. მე ვიფიქრე, რომ ეს ბავშვების რომელიღაც სხვა ჯგუფი იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისევ ისინი მობრუნებულიყვნენ.

— მოგვეცით ორი შილინგი, — მოითხოვა ათი წლის ბიზნესმენმა, — და პირობას გაძლევთ, რომ ერთხელაც აღარ მოვალთ ნამდვილ შობამდე და ამ ხნის განმავლობაში არავის არ დავანებებთ იმღეროს თქვენს კართან.

— აბა, გზა მონახეთ, — მტკიცედ ვუთხარი მე და კარი მივუჯახუნე. ჩემი ფრანგი მეგობარი დიდხანს ხარხარებდა, როცა ვუამბე, თუ რა მოხდა ამჯერად.

— ახლა კი მესმის, საიდან გაქვთ თქვენ, ინგლისელებს, ჩვეულება კარზე უკაკუნებდეთ სხვა ხალხებს, მაშინაც კი, როცა მათ სულაც არ უნდიხართ.

იგი, რა თქმა უნდა, გულისხმობდა იმას, ინგლისი ხანგრძლივად და დაჟინებით რომ უკაკუნებს კარს „ევროპის თანასაზოგადოებას", გულმოდგინედ რომ ცდილობს შეაღწიოს იქ. მაგრამ შეიძლებოდა მას მხედველობაში ჰქონოდა ბევრი სხვა სიტუაციაც, როცა ინგლისი უხოდიმოდ მიძვრებოდა ლიბიაში, სუდანში, შუა აზიაში... ჩემს ფრანგ მეგობარს თავის ოხუნჯობაში შეეძლო გადაკვრით მიეთითებინა იმაზეც, ინგლისი, მხარს რომ უჭერს ამერიკის პოლიტიკას ვიეტნამში. ბუნებრივია, დიდი განსხვავებაა საშობაოდ მომღერალ პატარა ბიჭუნებსა და ქვეყნის იმპერიალისტურ პოლიტიკას შორის, მაგრამ ჩემი მეგობარი მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ ჩვენ განუწყვეტლივ ვუკაკუნებთ კარს სხვა ხალხებს, როცა მათ სულაც არ ვუნდივართ.

სინამდვილეში კი ყველაფერი, რაზეც ოცნებობენ მეტი წილი ადამიანები ინგლისში შობის წინა დღეს, ძველი და ახალი წლის მიჯნაზე, არის დღესასწაულის რამდენიმე დღეს დასვენება, კარგი საშობაო სადილი ტრადიციული ბატით ან ინდაურით და ქლიავის პუდინგით, რამდენიმე საახალწლო საჩუქარი, რომლებსაც თავიანთ მეგობრებს მიუძღვნიან, საშობაო ნაძვისხეები და იმის რწმენა, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი რიგზეა.

დამეთანხმეთ, ეს არცთუ მეტისმეტად დიდი სურვილია, მაგრამ მისი განხორციელება იოლი როდია. ფასები იმდენად მაღალია, რომ ყოველი მუშის ოჯახი იძულებული იქნება ძლიერ შეამციროს მომავალ შობასთან დაკავშირებული ხარჯები. ის რამდენიმე საჩუქარი, რომლებსაც ისინი ერთმანეთს მიუძღვნიან, მნიშვნელოვნად გაძვირდება იმ ვაჭრუკანული სულისკვეთების გამო, რომელიც ქვეყანას მოედო, და უეჭველია, როგორც კარგად მოგეხსენებათ, მყიდველი მოტყუებული დარჩება თითქმის ყოველ ნაყიდ საქონელში.

რაც შეეხება იმაზე ოცნებას, რომ „ყველაფერი კარგად იქნეს ამ ქვეყნად", აქ კიდევ უფრო ძნელი მდგომარეობაა. მსოფლიოში ახლა ბევრი რამ არის ცუდი და ამ ცუდიდან ბევრი რამ ინგლისის საგარეო პოლიტიკის შედეგია.

მიმავალ 1969 წელს თვალს რომ გადავავლებთ, შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ იგი განსაკუთრებით არასასიამოვნო იყო ინგლისის პოლიტიკისათვის. და არა მარტო იმიტომ, რომ ინგლისის მუშათა კლასმა, აღმოჩნდა მთავრობა, რომელმაც 1969 წელს სცადა საპყრობილეში გამოემწყვდია პროფკავშირული მოღვაწენი და ფასების გადიდებისა და ხელფასის დონის დაბლა დაწევის პოლიტიკის ინიციატორი გახდა, ყველა ეს ღონისძიება თქვენივე საკუთარი კეთილდღეობისათვის არისო, — განუცხადა მან მუშათა კლასს. ასევე ორმაგ თამაშს ეწევა ევროპის საქმეებშიც. ინგლისის მთავრობა, რომელიც სოციალისტურ ეტიკეტზე აცხადებს პრეტენზიას, ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა მომავალი საერთო ევროპული თათბირის უშიშროების საკითხებზე.

ყოველივე ზემონათქვამი ნებას მოგვცემდა მეტად არასასიამოვნო პერსპექტივები დაგვესახა 1970 წლისათვის, მომავალი მარტო ინგლისის მთავრობაზე რომ იყოს დამოკიდებული. მაგრამ თვითონ ინგლისელები დღითიდღე უფრო ხვდებიან, რომ საჭიროა ბრძოლა მთავრობის უაზრო პოლიტიკის წინააღმდეგ. ამას წინათ გაზეთმა „სანდი ტაიმსმა" გვაუწყა, რომ მიმავალი წლის ფვირ[illegible] ინგლისში აღნიშნული იყო თერთმეტი [illegible]. ეს კი ყოველი მინისტრის ყოველ სიტყვაზე მეტად უფრო მართალია, თითქმის ყოველდღე ინგლისის ამა თუ იმ ადგილას ხდება სულ სხვადასხვა დემონსტრაციები — ქუჩებში, უნივერსიტეტებში და ეკლესიებშიც კი — ვიეტნამის მიმართ, აფრიკასა და ევროპაში ჩვენი პოლიტიკის წინააღმდეგ, არ არის ინგლისში არც ერთი ცოტად თუ ბევრად სერიოზული ორგანიზაცია, ლეიბორისტული პარტიისა და კონსერვატიული პარტიის ჩათვლით, სადაც არ იყვნენ ადამიანები, რომლებიც მიუთითებენ ჩვენი ქვეყნის ახლანდელი პოლიტიკის საშიშ ხასიათზე. ყველაფრიდან ჩანს, რომ 1970 წელი ერთ-ერთი ყველაზე საბრძოლო წელი იქნება ომის დროიდან გასულ წლებში, პროტესტებისა და ორგანიზებული წინააღმდეგობის წელი იქნება.

ლისი მხარს უჭერდა ევროპაში დასავლეთ გერმანიის პოლიტიკის ყველაზე რეაქციულ ასპექტებს, არამედ იმიტომაც, რომ იგი მთლიანად უჭერდა მხარს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ კურსს ვიეტნამში, აგრეთვე ამერიკის ფარულ ჩარევას ლიბიისა და სუდანის საშინაო საქმეებში. 1969 წელი ერთ-ერთი ყველაზე არასასიამოვნო აღმოჩნდა ინგლისის დიპლომატიისათვის — მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გასული მთელი დროის მანძილზე. და როცა მინისტრები კვლავ უჭერდნენ მხარს ამერიკის პოლიტიკას ვიეტნამში, მას შემდეგაც კი, რაც გამომჟღავნდა მშვიდობიან მცხოვრებთა გაჟლეტა სონგმში, როცა კონსერვატორები მოწონებით შეხვდნენ ყოფილი ლეიბორისტი მინისტრის ჯორჯ ბრაუნის განცხადებას, რომელშიც იგი ამერიკელებს ვიეტნამში შემდგომი „საგმირო საქმეებისათვის" აქეზებდა, — ცხადი ხდება, რომ „ჩვენს სამეფოში რაღაც რიგზე ვერ არის".

უბედურება ის არის, რომ ინგლისის ხელისუფალნი, ევროპაში ორმაგ როლს რომ თამაშობენ, ასეთსავე ორმაგ როლს თამაშობენ შინ.

ლეიბორისტული მთავრობა, რომელსაც არჩევნებში ხმა მისცა

მე ვფიქრობ, რომ სწორედ ამ უკანასკნელი ფაქტორების მეოხებით ჩემი ახალი წელი კარგი იქნება. ასეთს მოველი მას. აგრეთვე მოველი, რომ სწორედ ის პატარა მომღერალი ბიზნესმენები მოვლენ, კარზე მომიკაკუნებენ და მიმღერებენ „ქვეყნად მშვიდობასა და ადამიანებისადმი კეთილ ნებაზე".

ლონდონი, 1969 წ. დეკემბერი.

## ამერიკელ აგრესორთა მხეცობა



სულ უფრო მატულობს სამხრეთ ვიეტნამში ამერიკელ აგრესორთა დანაშაულებრივი მოქმედება. ამერიკის სამხედრო ხროვა, სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის შეუპოვარ წინააღმდეგობას რომ აწყდება, ნაცისტ დამნაშავეთა გზით მიდის: სპობს სამხრეთ ვიეტნამის ათობით სოფელს, შეუბრალებლად ხოცავს უდანაშაულო მშვიდობიან მცხოვრებლებს.

* * *

სურათებზე: ზემოთ სამხრეთ ვიეტნამის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებნი დასჯის წინ; ქვემოთ — ამერიკელ აგრესორთა მსხვერპლნი.

ფოტო „ლაიფ — ახალი ამბების სააგენტოსი.



# ნობათი

მოთხრობა

ნობათად მომირთმევია
თქვენთვის ამბავი ძველია.
ვაჟა-ფშაველა.

თორმეს თვალი გზისაკენ გაურბოდა, ორივეს ენაზე ეკერა ერთი და იგივე სიტყვები: „რა ქნა, რა ყველამ ფეხი ამოიკვეთა, რა ყველამ გულიდან გადაგვიგდო!"

ჭაღარა ცოლ-ქმარს გუმანით ესმოდათ ერთმანეთის ფიქრი და წუხილი, მაგრამ რაიმეს გამოთქმას ერიდებოდნენ... ახალი წლის წინა დილა რომ მოშუადღევდა, მაშინ კი ილენეს კვნესასავით აღმოხდა:

—როგორ აღარავინ გამოჩნდა... ბაღლებს ხილიც ვეღარ მივაწვდინეთ... ის ჩემი ვაჟბატონი და სიძე ტაცი საახალწლო ღვინის წასაღებად მაინც რატომ არ ჩამობრძანდნენ!..

— შენ ეგა თქვი, თორემა, იმათ ჩვენ ისე ვახსენდებით, როგორც გასულ ზამთარს ჩვენდან გადარჩენილ შვილსა ჰაი, დედასა!

— მოიცა, კაცო! ვილაცეებმა ჩვენკენ შემოუხვიეს...

პატარები კი ჩანან.

— ვინა და ჩვენი ბექა და გიორგია!

ეზოში შემოსულმა ბიჭებმა სალამი კი არა თქვეს, დაიჭიკჭიკეს:

— გამარჯობა, პაპა! გამარჯობა, ბებო!

ილენე თვალს არ უჯერებდა, მაგრამ შვილიშვილების ხმაც რომ გაიგონა, მეტისმეტი სიხარულისაგან ძლივს შესძახა:

— უი, თქვენ კი შემოგევლოთ ბებია!

ვაჟის ბიჭის გიორგისა და ქალის პირმშოს ბექას კოცნა-ჩახუტებით რომ მოსულიერდნენ, ბებიამ და პაპამ სიხარულის ცრემლები მოიწმინდეს და შენარევი ხმით ჰკითხეს, მარტოკები როგორ გამოგიშვესო.

ბიჭებმა ამაყად უპასუხეს:

— პატარები კი აღარა ვართ, მეხუთე კლასში ვსწავლობთ... გუშინ მეორე მეოთხედის ნიშნები გამოგვიცხადეს და ათი დღით დაგვითხოვეს... ამ დილით კი ავტობუსის ბილეთები ავიღეთ და ჰერი, თქვენკენ!..

ბიჭებმა თავთავისი პატარა ჩემოდნები ზედა სართულზე აიტანეს და დაემგვნენ ბაღ-ვენახის შემოსავლელად, და აქამდე მიყრუებული კარმიდამო სიცილ-კისკისით აივსო.

მალე ბებიამ საუზმისათვის დაუძახა ბიჭებს. სათითაო ნაზუქი დაუწყო, რძე დაუსხა და თუშური ყველი დაუჭრა. პაპამ კი ბუხრის ნაკვერჩხლებზე ერთხელ კიდევ დაატრიალა შამფური, ცვრიანი მწვადი ჯამში ჩათალა, ხახვი დააჭრა, წინ დაუდგა და სიამით სახეგაბადრულმა დასძახა:

— ქალაქელთა სტუმრობაო ნუ გგონიათ ხუმრობაო!

— არა, პაპავ, — შესძახა გიორგიმ, — სტუმრები კი არა ვართ, სანამყენე მიწის გადაბრუნებაში უნდა მოგეშველოთ.

— აგაშენოთ, დაგამშვენოთ! სიტყვაც კარგი საქონელია, დღეს და ხვალ კი ვიქეიფოთ და ზევიდან ვნახოთ, რა ბიჭებიცა ხართ.

ჩამგზავრი ყმაწვილები კარგად რომ დანაყრდნენ, ბებიამ აივანზე გაიყვანა, კიბე მიაყუდა სხვენზე ასასვლელ საძვრენზე და უთხრა:

—მომყევით თქვენ თქვენი კალათით!

ბექა და გიორგი სხვენში რომ ავიდნენ, ტკბილი სურნელება ესალბუნათ და თვალწინ ნაირნაირი ხილის ხალიჩა გადაეშალათ.

— აბა, შენაცვალოთ ბებო, აარჩიეთ, რაც თქვენ გინდათ, აარჩიეთ.

— რამდენი ყოფილა და რა ლამაზია!..

ბიჭებმა ვაშლებიც ჩააწყეს კალათებში და მსხლებიც, კომშიც და ბროწეულიც... ზემოდან კი თითო ჯაგანი ყურძენი დაადეს. ილენე ბებომ მხოლოდ ნიგვზისა და თხილის თითო პარკი ჩამოხსნა და სამივენი ფრთხილად ჩამოვიდნენ...

სიამოვნებისაგან აცმუკებულ შვილიშვილებს პაპამ თვალი ჩაუკრა და უთხრა:

— ახლა მე უნდა მიშველოთ ქვევრიდან ღვინის ამოღებაში.

მარანში ჩავიდნენ. პაპამ ქვევრის პირს მიწის თხელი ფენა თოხით გადააცილა, საგვილით მტვერიც გადასწმინდა, მრგვალი სიპი ქვა ციმციმ ახადა, ეს სარქველი საწნახელზე მიაყუდა, მერე ხელი გადაიბანა. რქაწი-



თელას თავანკარა ღვინომ უწმინდესი ცვარის ნაპერწკლები ამოაფრქვია... პაპამ ბიჭებს ხან ორშიმოს მიწოდება დაავალა, ხან თუნგიანისა და ხან ხელსაწმენდისა... ჭურჭლები დაავსო, თითო ყლუპი ჭაშნიკი აგემა, ბოლოს დასძინა, თქვენი გამარჯვებისა იყოსო.

ამასობაში ჩამოღამდა. ოთახში შემოსულთ ილენე შეეგება:

— რა დროზე ამოხვედით! აი ეს არის ინდაური შევდგი, ვიდრე მოიხარშება, ნიგოზი დავჭრათ და გოზინაყიც დროზე გავაკეთოთ.

ბებია ჭურჭელს რეცხავდა და სანელებლებს ამზადებდა. პაპა-შვილიშვილები ნიგოზს ბასრი დანებით აბურბუშელებდნენ.

ნიგოზის ჭრა რომ დაამთავრეს, პაპამ თქვა:

—ბებოს კიდევ ბევრი საქმე აქვს და, მოდი, გოზინაყი ჩვენ გავაკეთოთ!..

— გოზინაყი ყველას უყვარს, დიდსაცა და პატარასაც! — იძახიან ბიჭები.

პაპა ამბობს:

— ეგ რა გიკვირთ, გოზინაყზე არც ერთი სულიერი უარს არ ამბობს. შარშან ახალ წლის მომდევნო დღეებში დიდი თოვლი რომ დადო და ისეთი ყინვა დაიჭირა, რომ ქვასა ხეთქდა, ჩვენ სათივესთან შველი მოვარდა, ძალიან ლამაზი, შუბლზე თეთრი ხალით შემკობილი, ნუშისთვალება! უცებ მომენდო და ბოჩოლასავით შემოწყვა საბძელში, წყალი დავუდგი, ილენე ბებომ კი გოზინაყი ჩაუდო პირში, მოეწონა და ცოხნა და ცოხნა, ძაღლივით უცებ კი არ გადაყლაპა... ტყე რომ შეიფოთლა, გაიქცა... ხომ არ დავიჭერდი.

—რომ მენახა, როგორ მოვეფერებოდი! — თქვა ბექამ.

— ნეტა ახლაც მოვიდეს! — ინატრა გიორგიმ.

მხიარულობაში შუაღამე გადავიდა. ბებიამ ლოგინი გაუშალა ბიჭებს, პაპამ დაწოლა ურჩიათ. გიორგიმ და ბექამ ერთად შესძახეს:

— აკი თოფს ვისვრით!

— დილით სჯობს, დილით!

განთიადზე ბიჭებმა თვალები რომ გაახილეს, ბებია და პაპა უკვე ფეხზე იდგნენ, სუფრა გაშლილი იყო: შოთები და ნაზუქები, ბურვაკის ბარკალი და წითლად დაბრაწული ინდაური, თხლად დაჭრილი ზურგიელი და თეთრმოცისფრო ფიჩხული, ყველი და მუჭუჭი, ბროლის სურით ჟოლოს ნაყენი და ხელადებით ღვინო, გიორგის მამის გამოგზავნილი კამფეტები და ბექას დედის ნამცხვარი; ვაშლით, მსხლით, კომშით, ბროწეულით, თხილით ჩურჩხელებით და ყურძნით თავმობმული ბადიები მაგიდის თავსა და ბოლოში თაიგულებივით აღმართული, გოზინაყი კი პაპის მამისეულ სინზე ეწყო და შუა სუფრიდან ოქროს ზოდივით ანათებდა.

ბიძაშვილ-მამიდაშვილი ჩაცმას რომ შეუდგნენ, ტანისამოსთან ნახეს ჭრელი წინდები და პაპის მიერ სოფლის მაღაზიაში ნაყიდი ნამდვილი ბუცები. სიხარულით წამოფრინდნენ, ხელპირი დაიბანეს და ჯერი ახლა თოფის სროლაზე მიდგა. პაპამ კედლიდან ორლულიანი ჩამოიღო, ვაზნები ჩააწყო და ბიჭები აივანზე გაიყვანა... ბექამ და გიორგიმ ეზო, ბაღი, სოფელი, ტყე და მთაგორები თეთრად გადაპენტილი რომ დაინახეს, აღტაცებით გაიფიქრეს: პაპა ორჯერ რომ დააქუხებს, საგუნდაოდ დავეშვებითო..., შველს სანდრუას მოსვლისა და საუზმის შემდეგ კი კიპრიას გორაზე ვიქროლებთო, მაგრამ პაპამ მაღლა აღმართული თოფი ძირს დაუშვა, ვაზნები ამოყარა და ბიჭებს უთხრა: „აღარ ვისვრი, თორემ დაფრთხებიან!" ბიჭებმა კითხვაც ვერ მოასწრეს, ვინ დაფრთხებიანო, რომ თავადაც დაინახეს ახალ თოვლზე მათკენ მომავალი ორი შველი. პაპამ დიდი კმაყოფილებით წამოიძახა:

—ჩემთან ნამყოფი ნარნარა!.. შეხედეთ შუბლზე თეთრ ხალს, თოვლი არ გეგონოთ... პატარა კი ალბათ მისი ნუკრია. აი ჩვენი ლამაზი მეგობრები! — ბიჭები შეაჩერა, შველს მათი არ შეეშინდესო და თავად მიეგება ნარნარასა და მის პატარას... შველმა პაპას ხელები აულოკ-დაუკოცნა და ბიჭებსაც მიენდო. ბექამ და გიორგიმ აღარ იცოდნენ, როგორ მოჰფერებოდნენ ამ უმანკო არსებებს და თვალებს უკოცნიდნენ...

ეს ამბავი ბებომ რომ გაიგო, შველებს დაჭრილი ვაშლი, მარილი და თითო ნაჭერი გოზინაყი გამოუტანა... ამ დროს ეზოში შემოვიდნენ გიორგისა და ბექას დედიკოები და მამიკოები.

ახალი წლის მილოცვითა და ერთმანეთის კოცნით გული რომ იჯერეს, პაპამ ხუმრობანარევი კილოთი თქვა:

— შვილებო, დიდი ხანია, ბედნიერ დღეს ჩემკენ არ გამოგიხედავთ, ახლა კი რომელ ქარს მოუტანიხართ?!

— არა, ტყუილს ვერ გაკადრებთ, სიცრუეს ვერ დაგიკვეხებთ. ჩვენი ბიჭები გვერდით რომ არა გვყავდნენ, მთელ ღამეს მოუსვენრად ვიყავით, თქვენი ნახვაც გვინდოდა...

პაპამ სიამით შეაწყვეტინა:

— მეც მანდა ვარ! ახლა ხომ გაიგეთ, მშობლის გულის მოძრაობა! ამ შვილიშვილებმა და მშვიდობისა და მშვენიერების ხომალდცელმა შველებმა ბედნიერი ახალი წელი გაგვითენეს!

შვილების, შვილიშვილებისა და შველების ბებია-პაპასთან ჩამოსვლა მთელ სოფელს მოედო. მათ სანახავად და ახალი წლის მოსალოცად სამი ახლო მეზობელი და ათიოდე მეგობარი რიგრიგად გამოჩნდნენ სავსე კალათებით, ხონჩებით და დოქებით... საახალწლო სუფრას ეშხი მოემატა.

შალვა გიგაშვილი.

* * *

მხატვარი ი. ძლიბაძე.





დღეს ბაკურიანში.

ფოტო ბ. დადვაძისა.

მოგილოცავთ!

# პრემიები მწერლებს

[illegible]

...სუფლების 50 წლისთავს. წარმოდგენილი იყო 44 ავტორის პოეტური და პროზაული ნაწარმოებები, ჟიურიმ მწერალ გიორგი ნატროშვილის თავმჯდომარეობით შეაჯამა კონკურსის შედეგები.

პირველი პრემია არავის არ მიენიჭა.

ორი მეორე პრემია პროზის დარგში მიენიჭათ მწერლებს რ. ჯაფარიძეს რომანისათვის „ჟინების კვირა“ (პირველი ნაწილი) და ნ. დუმ-[illegible] „ფიქრები“ და ო. ჭელიძეს პოემისათვის „ამირანთა“. ორი მესამე პრემია მიიღეს პოეტებმა ზ. ნიშნიანიძემ პოემისათვის „აქილევსის ქუსლი და ფარი“ და ლ. სულაბერიძემ პოემისათვის „შემოდგომის დღის ქრონიკა ლენინგრადში“.

ყველა პრემირებული ნაწარმოები ცალკე წიგნებად გამოვა 1970 წელს. (საქინფორმი).




**გადაზიაში** ხელოვნური ნაძვისხე ვიყიდე და შინისკენ გავწიე. სახლს რომ მივუახლოვდი, მეზობელი ანზორ აბზიანიძე შემომხვდა.

— ეგ რა, ხელოვნური ნაძვისხე გიყიდია? მაგით გინდა მოატყუო ბავშვები? — დამცინავად შეხედა ნაძვისხის ფუტლარს ანზორმა. ღიპიან-ღაბაბიანი კაცი გახლდათ. დარდიმანდობდა, მეზობლებში შეძლებით მოჭარბდა თავი. საკუთარი მანქანაც ჰყავდა.

— ჰი, — ჩაიცინა კიდევ ერთხელ, — ხელოვნური! აი ნახავ როგორ ნაძვისხეს დავუდგამ ჩემ ბალღებს. წამოდი შენც, ისეთ ნაძვისხეს მოგაჭრევინებ! არა, მაინც რამ გაყიდვინა, ეგ? განა რასაც დაგიმტკიცებენ და დაგიკანონებენ, ყველაფერი უნდა მიიღო? რა სჯობს ბუნებრივს, თავისებური სუნი რომ მოსდევს... ხელოვნური გოჭი, ან ინდოური რომ დაგიდონ სუფრაზე, ისეა, ნამდვილად ისე.

— რა ვქნა, მე ამას დავდგამ, ეს მირჩევნია. შენ მოჭრი, ის მოჭრის, ტყე განადგურდება და...

— დამიწყე გაზეთის ენით!.. ტყე, თორემ სულ ტყეში დასეირნობ შენი ცოლშვილით!

— ეჰ, ჩემო ანზორ ბატონო, ლაპარაკს შევეშვით და შინ კი დამაგვიანდა. ბოდიშს ვიხდი.

გავშორდი. დამცინავი მზერა გამომაყოლა ალბათ. დამცინოს, რა ვქნა. მე ჩემი აზრი მაქვს, მას თავისი. მას შეუძლია ბოროტად მოეკიდოს კაცს, ტყეს... ყველაფერს, რაც კი გარშემო აკრავს და ახვევია. მე ეს არ შემიძლია. გულიდან წამოსული აზრი ვუთხარი, და გაზეთის ენით შელაპარაკებით. სხვა რაღა ვუთხრა ამნაირ კაცს, რა ვიცი.

**ახალ** წლის წინადღეებში აბზიანიძე აღარ შემხვედრია, არ ვიცი, მოიტანა თუ არა ნაძვისხე. ჩვენ კი ჩვენი ხელოვნური მოვრთეთ. ნაძვისხეს ფერად-ფერადი პაწია კოცონები შემოენთო. ჩემი პატარები ვაშას გაჰკიოდნენ.

ტელევიზორი ჩავრთეთ. საახალწლო კონცერტი მოვისმინეთ და მერე ჩემს საქმეს მივხედე, მეორე ოთახში გავედი. ცოტა ხანმა რომ გაიარა, ჩემი პატარა გოგო დაფეთებული შემოვარდა.

— მამიკო, მამიკო, ჩქარა მოდი, ჩქარა!

— რა იყო, გოგო, რა დაგემართათ?

— ტელევიზორში ძია ანზორი... ჩქარა!

სწრაფად გავედი, ტელეეკრანს შევხედე, და რა დავინახე — ანზორ აბზიანიძე იდგა თავჩაღუნული და ხელში მოჭრილი ნაძვის ხე ეჭირა. დიქტორი კი ამბობდა:

— შეხედეთ, შეხედეთ და დაიმახსოვრეთ მისი სახე. თუ სადმე შეგხვდეთ, თქვენც, ძვირფასო ტელემაყურებლებო, მოურიდებლად გაკიცხეთ, შეარცხვინეთ იგი...

— გაები მახეში? — ვეღარ მოითმინა ჩემმა მეუღლემ, — ახლაც მომაძახოს რამე მაგისმა კნეინამ!.. სადღა გამოეყოფათ ცხვირი!

მე კი მეცინებოდა და არას ვამბობდი. თვალწინ მედგა იგი, დამცინავი სახით რომ უყურებდა ჩემს ნაძვისხეს. ტელეეკრანზე კი ისეთი საცოდავი, ისეთი მობუზული ჩანდა, შეიძლება ვინმეს შესცოდებოდა კიდეც.

ჩაუშხამდა ეს ახალი წელი. შარშან თუ შერჩა და გალაღებული ბავშვებთან ერთად სიმღერით უვლიდა კოხტად მორთულ ნაძვისხეს, ახლა მგონი ხელოვნურიც აღარ ელირსოს.

ჩვენ კი მხიარულად გავითენეთ ახალი წელი.

**რამდენიმე** დღის მერე ფანჯრიდან თვალი მოვკარი ანზორ აბზიანიძეს. შინიდან ტელევიზორი გამოათრია და თავის მანქანაში ძლიერ ძლიერ შეიტანა. ვიფიქრე, ალბათ, მოეშალა და გასაკეთებლად მიაქვს-მეთქი.

ერთხელ საინტერესო კინოსურათი უნდა ეჩვენებინათ ტელევიზორით და კარზე ვილაცამ მოგვიკაკუნა. აბზიანიძის უფროსი ბიჭუნა, გია იყო.

— შეიძლება თქვენთან ვუყურო კინოს?

— მოდი, შვილო... თქვენ ტელევიზორს რა დაემართა?

— არაფერი, მამამ გაყიდა. ეგრე თქვა, ტელევიზორი აღარ მიხსენოთო.

**თენგიზ გოგოლაძე.**

3. გოგიძის მემორიალი

# კიდევ ერთი გამარჯვება

[illegible]

...საერთაშორისო ოსტატი გროსმაისტერის წოდებისათვის იბრძვის, ოსტატი — საერთაშორისო ოსტატობისათვის. ამან, ცხადია გახადა პარტია ისოდინ უკომპრომისო. 21-ე სვლაზე გაიმარჯვა ბ. გურგენიძემ. ახლა მას ერთი ქულაღა უნდა უმაღლესი საჭადრაკო წოდების მოსაპოვებლად. დასკვნით ტურებში წარმატებით თამაშის შემთხვევაში გურგენიძეს შეუძლია მეორე, არანაკლებ საპატიო ამოცანის გადაჭრაც — პირველი პრიზის დაუფლება. ქართველ მოჭადრაკეს ამ პრიზისათვის ბრძოლაში ჯერჯერობით მხოლოდ ორი მეტოქე ჰყავს — მ. ტალი და ვ. ჰორტი.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ტალმა მხედრების რამდენადმე უკეთეს ენდშპილში გადადო პარტია ლ. შამკოვიჩთან, ხოლო ვ. ჰორტი უკვე მეცამეტე სვლაზე ყაიმზე შეუთანხმდა დ. ბრონშტეინს. ყაიმზე შეთანხმდნენ აგრეთვე ა. ლეინ-რ. ფუქსი და ა. სუეტინ-რ. ხოლმოვი. ვ. ჩოკილტიამ მოსაგებ პოზიციაში გადადო პარტია ე. კოსტროსთან. რუმინელი საერთაშორისო ოსტატი ჯერ კიდევ ინარჩუნებს გროსმაისტერის წოდებისათვის ბრძოლის ერთგვარ შანსებს.

ვისთან უნდა ითამაშონ პირველი პრიზის პრეტენდენტებმა?! ბ. გურგენიძის მეტოქეებია ვ. ჰორტი, ლ. მაშიჩი და ე. მააგი. მ. ტალი ხვდება ე. კოსტროს, ნ. სპირიდონოვსა და დ. ბრონშტეინს. ვ. ჰორტი ბ. გურგენიძესთან თამაშის შემდეგ უნდა შეხვდეს ე. მააგსა და ვ. ჩოკილტიას. ასე, რომ ფინიშზე მძაფრი ბრძოლაა მოსალოდნელი.

**გ. გამრეკელი.**

იუმორესკა

# მოდები

**ყ**ველას კარგად მოგეხსენებათ, რომ მოდები ყოველ წელს იცვლება. ჰოდა, აი შოკეტა ბერდენმა, ლონდონის ყველაზე მოწინავე ატელიეს მფლობელმა, უკვე შემოგვთავაზა საახალწლო მოდები. აბა სხვას ვის უნდა ეზრუნა, გეთაყვათ, ამ საკითხზე. ის ხომ მაღალი საზოგადოების მოდების ჯადოქარია...

შოკეტამ კეკლუცად მიგვიღო თავის ულტრამოდერნულ სალონში და სრულიად შეუმზადებლად გვამცნო:

— ახალი წლისათვის ხის ელასტიკა შემომაქვს. ოთხშაბათს ჩემი ახალი კაბების, კოსტიუმებისა და პალტოების კოლექციით გამოფენაზე მივფრინავ... ყურადღება მიაქციეთ ჩემს ტუალეტს:

მას ეცვა ფანერის ხალათი — კაბა და არყისხის ქერქის წინდები, რომლებიც ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ტკაცუნობდნენ. ფეხებს კი ნატურალური ფიჭვის ქოშები უმშვენებდა. ხელში ფიჭვისავე ჩანთა ეკავა. თავზე ეხურა ხის ბურბუშელის ფრიალა პარიკი.

— ეს მე პირველმა მოვიგონე, — თქვა მან, — ახლა ყველა ქალი ჩაიცვამს ნუჟრით სავსე ბუნებრივი ხის ტანისამოსს. მოსალოდნელია სულ მცირე ოთხი თვის მსოფლიო სენსაცია. და მე ამ ხნის განმავლობაში შევძლებ საგაზაფხულო სეზონისათვის მოდელების მოფიქრებას...

შოკეტამ სიგარეტს მოუკიდა, ალი დაუყოვნებლივ მოედო მისი პარიკის ბურბუშლის კულულებს. მან უდარდელად ჩააქრო დაწყებული ხანძარი და განაგრძო: ვფიქრობ, გაზაფხულისათვის მოვამზადო კოლექცია, სახელწოდებით „ხმა და შუქი“, ესე იგი, ტანსაცმელი, რომელშიც დამონტაჟდება ელექტრონათურები და ხმის ჩასაწერი ფირები — ვინც ამ კაბას ჩაიცვამს, იციმციმებს, იკიაფებს და იჟღერებს, გულითაც რომ არ უნდოდეს. ხმისა და შუქის გამორთვა შეუძლებელი იქნება (ჩემი ელექტრომონტიორები, ხმის ინჟინრები და, ცხადია, მეხანძრეები ახლა ამაზე მუშაობენ).

შოკეტამ გაპრიალებული ფანერის ფრჩხილებით შემკობილი თითები ნერვიულადააკაკუნა მაგიდაზე და აღელვებით წაიჩურჩულა: — ვიმედოვნებ ჩემს საიდუმლოებას შეინახავთ და გამოგიტყდებით: ვოცნებობ შევქმნა ისეთი რამ, რაც ჯერ არავის აზრად არ მოსვლია — ნამდვილი რბილი ქსოვილის ტანსაცმელი, ტყავის ფეხსაცმელი და ჩანთაც იგივე ტყავისა... მაგრამ, იცით რაშია საქმე? მეშინია, რომ ეს მეტისმეტად ორიგინალური და გაბედული ნაბიჯი იქნება... ო, ისე ვღელავ...

შოკეტამ მღელვარებისაგან ცრემლებიც კი გადმოყარა და მერე თვალები და ნაძვის წიწვის ხელოვნური წამწამები, მუხის ფოთლის ცხვირსახოცით შეიმშრალა.

გერმანულიდან თარგმნა

**შ. ამირანაშვილმა.**

## მხატვრის ღიმილი



— დედიკო, მიყიდე რა თოვლის ბაბა!



— ახლაც იტყვი, დენს არ ვიპარავო?

— თოვლის პაპა მეგონე, თორემ კარს როგორ გაგიღებდი.



— თუ ძმა ხარ, მომიკიდე ერთი...

ნახ. ბ. ფირცხალავასი.

**მ**ახსოვს ვალერი ბრუმელის დაუვიწყარი, ფენომენალური ნახტომი ლუჟნიკში: 2 მეტრი და 28 სანტიმეტრი! რამდენიმე ხნის შემდეგ ბრუმელი სკლიფოსოვსკის სახელობის ინსტიტუტში ვნახე თაბაშირში ჩასმული — უბედური შემთხვევის შემდეგ. მე და ის ჭადრაკს ვთამაშობდით.

რამდენი ექიმი ამბობდა, ბრუმელი ვერასოდეს ვეღარ იხტომებს, ღმერთმა ქნას, რომ ნორმალურად იაროსო.

და აი 1968-1969 ახალწლის ღამე. ვალერი ბრუმელი სატელევიზიო სტუდიაში გამოდის. ცოცხალია, ჯანსაღად არის, კარგ გუნებაზეა.

მე კვლავ შევხვდი ვალერის, და იგი ოხუნჯობდა: „თქვენ რევანში გმართებთ ჩემი. საავადმყოფოში თქვენთან ვაგებდი“. კარგი. კვლავ ვითამაშეთ ჭადრაკი მისას ოჯახში. „ნუთუ კვლავ იხტომებთ?“ — ვკითხე ვალერის, „ამას რომ არ ვფიქრობდე, ამდენ ძალასა და ენერგიას არ დავხარჯავდი წვრთნაზე“ — მიპასუხა ბრუმელმა ძალიან დაბეჯითებით. და იგი უკვე ხტის ორ მეტრ სიმაღლეზე და თამასასთან მისი ბრძოლა გრძელდება.

არ შეიძლება ითქვას, რომ ბრუმელისა და მ. ტალის „ავადმყოფობის ისტორიას“ ბევრი რამ აქვს საერთო. მაგრამ ანალოგია მაინც არის: მიხეილ ტალი წლობით წვალობდა, იტანჯებოდა, სპორტული ფორმა დაკარგა. მის შემთხვევაშიც ზოგი ვინმე შეცდა. ტალის საბედნიეროდ თბილისშიც მოხდა ასეთივე სასწაული, როგორიც ბრუმელს ყარაგანდაში დაემართა. მიშა ცოცხალია და ჯანსაღად არის, თავს ჩინებულად გრძნობს. ტალი ჩვენს თვალწინ გარდაიქმნა. მან დაავიწყდა თავისი მუდმივი კავშირი „სასწრაფო დახმარებასთან“ და, ასე გასინჯეთ, ცუდად როდი თამაშობს ჭადრაკს. ახლა უკვე ბევრი რამ არის დამოკიდებული თვით მსოფლიოს ექსჩემპიონზე. ძლიერი ნებისყოფის მაგალითი ბრუმელისაგან აიღოს. თუ ტალმა თავაზიანად შესწირა ერთი თირკმელი, აიღოს და თამბაქოც ჯანდაბას გადააგდოს.

**წ**ლის ბოლოს მიღებულია შედეგების შეჯამება. სპორტში ჩვეულებრივ ეწყობა ჟურნალისტების გამოკითხვა წლის ათი საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლინებლად. ამჯერად ასეთმა ანკეტამ გამარჯვება მოუტანა მოჭადრაკეს — ბორის სპასკის. ეს ფაქტი მეტად სასიამოვნოა არა მარტო ბორის სპასკისათვის, არამედ მთლიანად საბჭოთა საჭადრაკო სკოლის ავტორიტეტის აღიარების თვალსაზრისითაც. ასეთი გამოკითხვა სხვა ქვეყნებშიც მოეწყო. მაგალითად, შედეგების მიხედვით მსოფლიოში წლის საუკეთესო სპორტსმენად ამერიკაში ხმის უმრავლესობით აღიარებულ იქნა ფეხბურთელი პელე. ამერიკის მეორე სააგენტოს შედეგების მიხედვით წინ აღმოჩნდა ავსტრალიელი ჩოგბურთელი — ლეივერი.

# ალამი ჩამოვარდა!

## სალო ფლორი,

„კომუნისტის“ საჭადრაკო მიმომხილველი.

რაც შეეხება ქალთა ჭადრაკს, აქ „შეკითხვები არ არის“. ცხადია რომ ამ სამყაროში პირველობა ეკუთვნით ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა ალექსანდრიას.

საქართველო მდიდარია თავისი შესანიშნავი ბუნებით, მდიდარია თავისი წარმოებით. საქართველოს შეუძლია გაჰქონდეს ჩაი, ხილი, ღვინოები, კონიაკი, თამბაქო და ა. შ. საქართველო მდიდარია ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანებით. საქართველოს შეუძლია მოაწყოს თავისი კომპოზიტორების, ანსამბლების, ბალეტის, დირიჟორების, მსახიობებისა და ქართული კულტურის სხვა წარმომადგენლების ექსპორტი. საქართველოს შეუძლია საზღვარგარეთ გაგზავნოს უძლიერესი მოჭადრაკე ქალები — ნონა და ნანა. ყველაფერი ჩინებულია, ყველაფერი საუცხოოა.

მაგრამ... მაინც ეს მთლად ის არ არის, რაც ჩვენ გვინდა... — ბუზღუნებს გულშემატკივარი. გამოთქმით, — ეს მთლად ის არ არისო, იგი გულისხმობს, რომ საქართველოს სურს ჰყავდეს გროსმაისტერი მამაკაციც — თავისი ხალხის შვილი. „მშრომელთა სურვილები“ რომ დააკმაყოფილოს, ბუხუტი გურგენიძე ყველა ზომას იღებს საამისოდ.

მკითხველებს ალბათ აინტერესებთ, როგორ გრძნობენ თავს ჩვენი გროსმაისტერები. ზოგი მათგანი თბილისშია. ყველანი კარგად გრძნობენ თავს.

მოსკოველ გროსმაისტერთაგან არ ვიცი არც ერთი, რომელიც საახალწლოდ ცუდ გუნებაზე იყოს. ახლა მკითხველმა შეიძლება არ დამიჯეროს და მკითხოს: — ეს როგორ არის, ნუთუ მ. ბოტვინიკი კარგ გუნებაზეა? წარმოიდგინეთ, კარგ გუნებაზე. სწორედ ახლა ტელეფონით ვესაუბრე.

◆

პირველ რიგში მთხოვა მისი საუკეთესო სურვილები გადავცე „კომუნისტის“ მკითხველებს. მე მივულოცე მოსკოვში ჩამოსვლა და მორიდებულად — „ბელგრადში ტურნირის დამთავრება“.

„როგორ დაგემართათ, ბელგრადში გელერთან რომ წააგეთ, შემთხვევით ხომ არ წაჩხუბებულხართ?“ ვკითხე ბოტვინიკს. „არა, ჩვენ საუკეთესო ურთიერთობა გვაქვს. მე არ მომწონს, ჩვენი გროსმაისტერების საყაიმო ტაქტიკა, როცა ისინი საზღვარგარეთ ხვდებიან ერთმანეთს. მონდომე და მომეგო გელერისათვის და... წავაგე. პოლუგაევსკისთანაც მოგებაზე ვთამაშობდი, მაგრამ ყაიმი გამოვიდა“, — განმიმარტა მიხეილ ბოტვინიკმა.

სამწუხაროდ, ბოროტი ენები ყოველთვის მოიპოვება. აი საკმარისი იყო მას ბელგრადში 2-3 პარტია წაეგო (ზოგჯერ ნაძალადევად), რომ უკვე გაისმა ხმები: დიახ, ის აღარ არის, რაც იყო, წლებს მაინც თავისი გააქვს, იქნებ სჯობდეს ასპარეზი დატოვოს და ახალგაზრდებს დაუთმოს გზაო. კარგია თუ არა ასეთი „რჩევა“? არა, არ არის კარგი. მ. ბოტვინიკიც რომ ოდნავ დაბერდა, ამაზე არავინ არ დაიწყებს დავას. ახალგაზრდობას რომ გზას არ უღობავს, ესეც მართალია. მაგრამ ცალკეული წარუმატებლობისაგან არავინ არ არის დაზღვეული. უნდა ვიცნობდეთ ახალგაზრდა და ხნიერ ბოტვინიკს, გვჯეროდეს მისი შეუპოვრობა, მებრძოლი მიზანსწრაფული ხასიათი. დაინახავთ, რომ მალე ბოტვინიკი რომელიმე ტურნირში რევანშს აიღებს ბელგრადში წარუმატებლობისათვის. ბოტვინიკს ფიქრადაც არა აქვს საჭადრაკო პენსიაზე გადავიდეს.

ბორის სპასკიმ ნამდვილად დიდი ხნით ჩაალაგა ჭადრაკის ფიგურები ყუთში. ოცნებობს დაისვენოს ჭადრაკისაგან. ეს სავსებით გასაგებიც არის.

მ. სმისლოვი საბრძოლო პოსტზეა — ჭადრაკის ქალაქ ჰასტინგსში.

თუ ტიგრან პეტროსიანმა 1969 წელს ტიტული დაკარგა, წყენისათვის საფუძველი როდი აქვს. სსრ კავშირის ჩემპიონატში მან პირველი-მეორე ადგილი გაიყო და პალმა დე მალიორკაში მეორე იყო. უნიკალური მოჭადრაკეა ეს ტიგრანი. თვითონ განსაჯეთ: სსრ კავშირის XXI, XXII, XXV, XXVI, XXXVII ჩემპიონატებში არც ერთი დამარცხება არ განუცდია. თავდაცვის ფენომენალური ოსტატია.

ჩვენი საჭადრაკო სეზონი უნდა გახსნან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შარშანდელი სეზონი უნდა დაამთავრონ ტიგრან პეტროსიანმა და ლევ პოლუგაევსკიმ. XXXVII ჩემპიონატში გამარჯვებულმა მოჭადრაკეებმა. საზღვარგარეთ გამგზავრების გამო ტიგრანმა და ლევმა ჯერჯერობით დრო ვერ მონახეს თავიანთი ექვსპარტიანი მატჩისათვის. 1963 წელს ტ. პეტროსიანმა განაცხადა, პოლუგაევსკი ყველაზე მოსალოდნელ პრეტენდენტად მიმაჩნიაო. პეტროსიანის პროგნოზი არ გამართლდა, მაგრამ პეტროსიან-პოლუგაევსკის მატჩი ბოლოს და ბოლოს მაინც გაიმართება. იმედი ვიქონიოთ, რომ ახლა ისინი არსად არ გაემგზავრებიან, და დასახულ ვადაზე, 20 იანვარს დაიწყებენ თავიანთ „დამატებით დროს“ ექვსი შეხვედრისაგან.

საბჭოთა მოჭადრაკეებისათვის 1969 წელი წარმატებითი იყო. ახლა ალამი ჩამოვარდა, მორჩა! ამუშავდა ახალი წლის საათი.

ჩვენი მოჭადრაკეების პროგრამა ახალ წელს, როგორც ყოველთვის, მდიდარია. ამ დღეებში მათი ერთი ჯგუფი მიემგზავრება ბევერვიიკში, ქალთა ტურნირში ნანა ალექსანდრია ითამაშებს.

კვლავ თბილისზე. წელს ჭადრაკის მოყვარულებს მეტად სასიამოვნო სიურპრიზი ელით. თბილისში გაიხსნება ახალი, საუცხოო საჭადრაკო კლუბი. მოსკოვში თუ ლენინგრადში ასეთი კლუბები რუსული საჭადრაკო სკოლის ფუძემდებლის მ. ი. ჩიგორინის სახელს ატარებენ. რადგან დამსახურებული ოსტატი ვ. ა. გოგლიძე სამართლიანად ითვლება ახლანდელი ქართული, პროგრესის გზაზე მდგომი საჭადრაკო ცხოვრების ფუძემდებლად, ახალ კლუბს თბილისში ვ. ა. გოგლიძის სახელობის საჭადრაკო კლუბი დაერქმევა.

მრავალ კითხვას შორის, რომლებსაც ჭადრაკის მოყვარულნი იძლევიან, ჩვეულებრივად ასეთიც არის: გვითხარით, ვისთვის „შეგტკივათ გული?“ უნდა ითქვას, რომ კომენტატორი ყოველი სახეობის სპორტში უწინარეს ყოვლისა მოვალეა ობიექტური იყოს. ცხადია, კომენტატორი უგულგულო ადამიანი როდია და კერძო წესით უფლება აქვს ვინმეს მეტი სიმპათიით ეკიდებოდეს, ვინმეს კი ნაკლებით. მაგრამ მკითხველმა ეს ვერ უნდა იგრძნოს და ვერ უნდა შეამჩნიოს.

მაგრამ უნდა ვთქვა, რომ უწინარეს ყოვლისა მკითხველის, ჭადრაკის მოყვარულის „გულშემატკივარი“ ვართ. საბჭოთა მეომარი სიამაყით წარმოთქვამს ფიცს: „ვემსახურები საბჭოთა კავშირს!“.

მე სამხედროვალდებული აღარა ვარ, მაგრამ როგორც ჭადრაკის ხელოვნების პროპაგანდისტი გულწრფელად ვამბობ: ვემსახურები „კომუნისტს“, გემსახურებით თქვენ, ჭადრაკის მოყვარულნო და დამფასებელნო.

სულით და გულით ვულოცავთ „კომუნისტის“ პატივცემულ მკითხველებს, ჭადრაკის, სპორტის ყველა მოყვარულს, ყველა მეგობარს ახალ წელს!

ამინდი

# როგორი იქნება იანვარი

**იანვარი** ზამთრის თვეებს შორის ყველაზე ცივია. 1970 წლის იანვარში თვის საშუალო ტემპერატურა საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთ რაიონებში მოსალოდნელია ნორმაზე ერთი-ორი გრადუსით მაღალი, დანარჩენ რაიონებში ნორმასთან ახლოს მცირე გადახრებით.

ჰაერის ყველაზე მაღალი ტემპერატურა მოსალოდნელია პირველ დეკადაში, რაც გამოწვეული იქნება კავკასიის ტერიტორიაზე სამხრეთის თბილი ჰაერის მასების გავრცელებით, ამ დროს მაქსიმალური ტემპერატურა მიაღწევს: სანაპირო რაიონებში 13-18 გრადუს სითბოს, აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ მთიან რაიონებში პლუს 4-9 გრადუსს.

მინიმალური ტემპერატურა მოსალოდნელია დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში პლუს 6-11 გრადუსი, მთიან და მაღალმთიან რაიონებში მინუს 1 — პლუს 4 გრადუსი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში მინუს 8 — პლუს 2 გრადუსი.

ჰაერის ყველაზე დაბალი ტემპერატურა მოსალოდნელია მესამე დეკადაში.

**ქ. ჭელიძე,**
თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი ინჟინერ-სინოპტიკოსი.

## ტელევიზია

● 1 იანვარი

10.50 — „საახალწლო“, 11.00 — „მაღვიძარა“ — სადღესასწაულო გამოშვება (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „უჩვეულო დღეობა“, 12.30 — „ბეჭწვეი ზღაპარი“ (გადმოცემა პიატიგორსკიდან), 13.00 — „გააკეთეთ ჩვენთან ერთად, ჩვენსავით და უკეთესად“ (გადმოცემა ბერლინიდან), 14.00 — კონცერტი, 15.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „თოვლის დედოფალი“, 18.10 — „ათასი ვალსი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.05 — „მრავალ ახალ წელს“, 19.25 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ყარაჩოღლის სიზმარი“ პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 19.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა. გასართობი გადაცემა „მეცამეტე საათზე“, 20.50 — მხიარული ეკრანი „ნახატი ფილმი ისევ მოდებზე“, 21.00 — საგასტროლო გზები. საესტრადო კონცერტი, 22.15 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა — „ჩვენი სტუმარია თოჯინების ცენტრალური თეატრი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.30 — „იყავით ბედნიერნი“ — გასართობი პროგრამა. დასკვნითი გადაცემა მოსკოვიდან.

● 2 იანვარი

11.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — კინონარკვევი, 12.00 — ბავშვებისათვის — „ნაძვისხის ზეიმზე“, 13.00 — ქართული მხატვრული ფილმი ბავშვებისათვის — „არდადეგები“ 14.10 — კინონარკვევი, 14.30 — ი. ილფი. ე. პეტროვი. „ოქროს კვერცხი“ ლენინგრადის თოჯინების დიდი თეატრის სპექტაკლი (გადმოცემა ლენინგრადიდან), 16.10 — პოლონური სატელევიზიო ფილმი „ცისფერი ოთახი“, 16.40 — „ვილოცავთ ახალ წელს“ — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — კონცერტი — „მრავალჟამიერ“, 18.00 — დოკუმენტური ფილმი, 18.40 — „სპორტი-69“. 19.10 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.10 — კინონარკვევი, 20.20 — სატელევიზიო დადგმა „მეგობრები“ პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 20.45 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა „კინოობიექტივი“, 22.15 — „ცისფერ ეკრანზე“ — სადღესასწაულო გამოშვება (გადმოცემა მოსკოვიდან).

● 3 იანვარი

11.05 — კინოპროგრამა, 11.50 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა“, 13.00 — „ცეკვის სიცოცხლე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.45 — ეთერშია ახალგაზრდობა „ჰორიზონტი“ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 17.05 — გადაცემა ბავშვებისათვის „საახალწლო ნობათი“, 17.45 — კინონარკვევი, 18.00 — კალათბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ცსკა“ — „სპარტაკი“ ლენინგრადი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.40 — ჩვენი ინტერვიუ, 20.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა. „მულტპანორამა“, 21.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საერთაშორისო მიმოხილვა, 22.00 — ეთერშია — ახალგაზრდობა „საახალწლო ანკეტა“.




## თეატრები

● 2 იანვარი

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური** — ბროლის კოშკი (დღისით), ტრუბადური (საღამოს, 27-ე აბონ. მე-6 წარმოდგენა); **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მზიანი ღამე (დღისით), ხანუმა (საღამოს); **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — სამანიშვილის დედინაცვალი (დღისით); **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ფეოლა (დღისით და საღამოს); **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — შესანიშნავი სამეული (დღისით); ნინო (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ნაცარქექია (№ 52 აბონ. დილის 10 ს), № 23 აბონ. 1 ს.), დღეს ჩვენ ვფიქრობთ ბარათაშვილზე (№ 56 აბონ. 5 ს. და 30 წ.).

● 3 იანვარი

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური** — დონ-კიხოტი (დღისით), ფაუსტი (საღამოს, პრემიერა, 26-ე აბონ. მე-6 წარმოდგენა); **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ხანუმა (დღისით), ფედრა (საღამოს); **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — სამანიშვილის დედინაცვალი (საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ფეოლა (დღისით), ორი ბატონის მსახური (პრემიერა, საღამოს); **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ნინო (დღისით), „სიმღერა ტყეში“ (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ჯართი (№ 50 აბონ. დილის 10 ს., № 7 აბონ. დღის 1 ს.), ძია ელიოზი (№ 13 აბონ. 5 ს. და 30 წ.); **თოჯინების ქართული** — თეთრი ცუგა (11 ს. 77-ე, 82-ე და 144-ე სკოლები, 1 ს. 39 სკოლა), გულივერი ლილიპუტების ქვეყანაში (3 ს. 42-ე და 61-ე სკოლები).

## კინო

1, 2, 3 იანვარი

**ოქტომბერი** — **ვინეტუ — აპაჩების ბელადი;** **ამირანი, საქართველო** (წითელი დარბაზი). **სპარტაკი, კოლხიდა, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი** — **თავისუფლებისათვის შობილი;** ნაკადული — **ფლიპერი;** ისანი, კომკავშირელი, ვარძია — **დედობრივი სიყვარული** (I, II სერია); 26 კომისრის (პირველი დარბაზი) — **პოემა ქვაში** (I, II სერია); 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — **კოლონია ლანფიერი;** თანამგზავრი — **ბომბეი ღამის საბურველში;** სპორტი, ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — **ანჟელიკა — ანგელოზების მარკიზა;** ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — **მტაცებლების ნადიმი;** ეკრანი — **ცის ქუხილი;** კოლმეურნე — **აგენტი უნებლიეთ** (I, II სერია); ბათუმი — **დამშვიდობება.**

გაზეთ „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 4 იანვარს.

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**


კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-08-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, [illegible] — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, [illegible] ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-78-24, [illegible]

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60443 უე 44101 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.